# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 ივლისი, 2010 წელი.

№139 (6505)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# სამი წლისთავზე კიდევ ერთხელ მოხნა ძალამ „სამშობლოს“ ალმართი





ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

## ჟურნალისტების ბედი დევნილებმაც გაიზიარეს

ყველასთვის ცნობილია, თუ რა ვანდალური აქცია მოაწყო ხელისუფლებამ ჟურნალისტთა მიმართ 2007 წლის აგვისტოში — გაუფრთხილებლად ათობით ჟურნალ-გაზეთისა და რამდენიმე ტელეკომპანიის თანამშრომლები გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოდევნა. მიზეზი თურმე ის იყო, რომ შენობა საპრივატიზაციო ნუსხაში იყო შეტანილი და უნდა გაყიდულიყო. გავიდა ხანი და დედაქალაქის ცენტრში, ჟურნალისტთა მრავალწლიანი შრომის შედეგად აგებული სახლი გამოშიგნულ-გაძარცვული იდგა მყიდველის მოლოდინში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შენობაში სამაჩაბლოდან და კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობა შეასახლეს.

შეძლებისდაგვარად მოაწყვეს იქაურობა უსახლკაროდ დარჩენილმა დევნილებმა, ზოგიერთმა სამსახურიც იშოვა და გაჰქონდათ თავი ამ გაუსაძლის ყოფაში.

ოთხიოდე დღის წინათ კი მათ განუცხადეს, შენობა უნდა დატოვოთო, მიზეზი იგივეა — შენობა საპრივატიზაციოდ მზადდება, იგი უკვე შეტანილია საპრივატიზაციო ნუსხაში, მიუხედავად ამისა, რომ რამდენიმე დღის წინათ დაგეგმილი აუქციონი არ ჩატარდა, იგი მაინც გაიყიდება. იგივე სცენარი, რითაც ჟურნალისტები გამოგვაძევეს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შუაღამით გამოგვაძევეს, დევნილები კი „დაინდეს“ და რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილეს.

რა ბედი ელით დევნილებს?

ავთანდილ ბექაური.

## მეცნიერებისა და განათლების ამოძირკვის მანიაკალური იდეით შეპყრობილი ხელისუფლების მორიგი აგრესია

2

## ვინ გადაუფრინა ყვარლის ტბიდან სამინისტროებს?

3



## დროა, საქართველო გავასინგაპუროთ

6

## ვინ უნდა გადაარჩინოს ქართველი ერი ეკონომიკისა და კულტურის კატასტროფისგან?

5

## კანადელი მასწავლებლები სკოლებიდან გამოყრილი ქართველი პედაგოგების ხარჯზე ჩამოგვყავს?

7

## 84 პროცენტს სააკაშვილის გაპრემიერება არ სურს

2

◉ NDI-ის კვლევები

# 84 პროცენტს სააკაშვილის გაპრემიერება არ სურს

## გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჩვენთან არ არის ნორმალური დემოკრატია

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით 84 პროცენტს მიხეილ სააკაშვილის გაპრემიერება არ უნდა. 59 პროცენტი ხელისუფლების რუსეთთან დამოკიდებულების გამო უკმაყოფილოა, აი, ეს ციფრები აჩვენებენ, რამდენად ობიექტურია ჩვენი კვლევები, — ბოლო დროის გამოკითხვები მოიშველია NDI-ის ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ და ასე სცადა სკეპტიკოსთა კეთილგანწყობის მოპოვება, თუმცა, როგორ იმოქმედებს კვლევების სტატისტიკა საზოგადოების აზრზე, ჯერ უცნობია.**

კვლევა აფასებს მოსახლეობის დამოკიდებულებას არჩევნების ჩატარების, საგარეო პოლიტიკისა და საკონსტიტუციო რეფორმების მიმართ. 24 ივნისიდან 5 ივლისამდე საქართველოს მასშტაბით სულ 2053 მოქალაქე გამოიკითხა, აქედან 900 რესპონდენტი — თბილისში.

თუკი გასული წლის ნოემბრის კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერდა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილის პარლამენტისთვის გადაცემას, ახალი კვლევის მიხედვით გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მომხრეა ძლიერი საპრეზიდენტო სისტემისა, ძლიერ პრემიერ-მინისტრთან შედარებით. **„პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ფრანგულ გამოცემა „Le Monde“-თან ინტერვიუში, რომ მას თითქოს პრემიერ-მინისტრობაზე უფიქრია თავისი მეორე და საბოლოო ვადის ამოწურვის შემდეგ, მხოლოდ 26 პროცენტი იზიარებს“,** — განაცხადა ლუის ნავარომ.

იხ. 4 გვ.

◉ სამართალი

# რისთვის სძალავენ ქართველი ადვოკატები კლიენტებს ათასობით დოლარს?

## სტრასბურგში სარჩელის გაგზავნის მსურველებს იურისტები ეფექტიან დახმარებას სთავაზობენ

**ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან ყოველ წელს ათობით საჩივარი იგზავნება, თუმცა ამათგან ძალიან ცოტა თუ აღწევს წარმატებულ ვერდიქტს. მომჩივანი მოქალაქეები თუ იურიდიული პირები წლობით ელოდებიან საქმის დასრულებას, მაგრამ უმეტესად უშედეგოდ. თუმცა კი თურმე ქართველი ადვოკატები თითოეულ საქმეში 4-5-6 ათას დოლარს და მეტს ითხოვენ, მაგრამ არად დაგიდევენ, რა შედეგით დასრულდება საქმე.**

ეს არასწორი პრაქტიკაა, — მიიჩნევს იურისტი **ზაქარია ქუცნაშვილი.** მან და სამართლის დოქტორმა **ევა გოცირიძემ** გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და დაინტერესებულ პირებს სრულიად ახალი ინიციატივა შესთავაზეს, რაც გულისხმობს იურიდიულ დახმარებას და მოქალაქეთა უფლებების ეფექტიან დაცვას. „ადრე ქართველი იურისტები კლიენტს მხოლოდ და მხოლოდ საჩივრის მომზადებას სთავაზობდნენ, რაშიც საკმაოდ დიდ გასამრჯელოს იღებდნენ და წლობით უწევდათ ლოდინი. ამიტომ მე და ქალბატონი ევა, რომელიც სტრასბურგში ცხოვრობს და რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში უდიდესი გამოცდილება აქვს, ვთავაზობთ, მოგვმართონ. ჩვენ ინდივიდუალურ რეჟიმში გავაცნობთ დავის წინასწარ დასკვნას, ანუ შევისწავლით საჩივრის ევროპის კონვენციასთან შესაბამისობას, რა პერსპექტივა აქვს მას და ვურჩევთ, იდავოს თუ გაჩერდეს. რა თქმა უნდა, დასკვნა შეუვალი არ არის და გავაცნობთ, რა შანსი არსებობს საქმის მოსაგებად, თუკი არსებობს ის საერთოდ“, — ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

ევა გოცირიძის თქმით, ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა საქართველოდან გაგზავნილ საჩივრებს არათუ არ განიხილავენ, არამედ არც იღებენ წარმოებაში, ვინაიდან თავიდანვე არასწორად არის შედგენილი, რაც არაპროფესიონალიზმის ბრალია. **„კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, მუდმივად განახლებადი და სტაგნაციურად კი არ აფასებს სიტუაციას, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის გამოცდილებას ეფუძნება. ბევრს ჰგონია, რომ სტრასბურგის სასამართლო შეცვლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. სასამართლოს შეუძლია, ადამიანს, რომელსაც დაერღვა უფლება სახელმწიფოს მხრიდან, მორალური ანაზღაურება განუსაზღვროს, მაგრამ ხანდახან კომპენსაცია არ არის საკმარისი და სასამართლო წყვეტს კიდევ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს ქვეყანაში, რომ იგივე არ განმეორდეს“,** — ამბობს ქალბატონი ევა.

ზოგადად მორალური ზიანის ანაზღაურების თემა ერთობ პოპულარულია ჩვენთან, ამბობენ იურისტები, რადგან ადვოკატთა უმეტესობა კლიენტებს კოლოსალურ, ხშირად არარეალურ თანხას უწერენ, მილიონებსაც კი — კომპენსაციისთვის. არადა სტრასბურგის სტანდარტების მიხედვით, ყველაზე დიდი თანხა, რაც შეიძლება საქართველოს მოქალაქემ მიიღოს რეალურად 50 ათასს არ აღემატება.

რაც შეეხება წინასწარი დასკვნის სანდოობას, იქნებ არის მცირედი შანსი და ცდად ღირდეს! — იურისტები ამბობენ, რომ ისინი ძალიან კომპეტენტურად მიუდგებიან ამგვარ დასკვნას და არჩევანის საშუალებას მისცემენ კლიენტს. თუ მას ულირს თანხის გადახდა იმად, რომ ევროპის სასამართლოს მიმართოს, ბუნებრივია, ამის უფლება ყველა ადამიანს აქვს.

**დაინტერესებულმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ ასოციაციას „კანონი ხალხისთვის“, სადაც წინასწარი დასკვნის მისაღებად მათ გარკვეული თანხის გადახდა მოუწევთ, მაგრამ შედარებით მიზერულის, რაც დიდად განსხვავდება იმისგან, რისი გადახდაც მათ სტრასბურგში გაგზავნილი სარჩელისთვის მიუწევთ.**

**ნია ფიფია**

◉ მეცნიერების აპოკალიფსი



**2000-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემუშავდა რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ატესტაციის მექანიზმის გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ოპტიმიზაციას და მეცნიერთა სამუშაო პირობების ეტაპობრივ გაუმჯობესებას. დაგეგმილი იყო აგრეთვე აკადემიის მმართველი რგოლის გარდაქმნა სამეცნიერო დაწესებულებების სისტემათა მართვის ევროპული მოდელების გათვალისწინებით.** ამ პროექტის სარეალიზაციოდ პირველი სერიოზული ნაბიჯი 2003 წლის ივლისში გადაიდგა. კერძოდ, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სანიმუშო წესდება“ და „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულება“, ხოლო პარლამენტმა გამოსცა კანონი „მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ“. ამ კანონს აქტიურად დაუჭირეს მხარი როგორც „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“, ისე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და აქტიურად გამოიყენეს კიდეც პიარისათვის წინასაარჩევნო კამპანიის დროს. უფრო მეტიც, უკვე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის იანვარში, მთავრობის მაშინდელმა მეთაურმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „ჩვენი სამეცნიერო პროგრამა იქნება აკადემიაში შემუშავებული ის უაღრესად დახვეწილი პროექტი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს გადმოგვცესო“.

2004 წლის გაზაფხულზევე გაირკვა, რომ ხელისუფლებაში მოსული „ვარდოსნები“ მეცნიერების მხარდამჭერ სიტყვებს მხოლოდ საზოგადოების თვალის ასახვევად იყენებდნენ, სინამდვილეში კი შეპყრობილები იყვნენ ქართული კულტურისა ზოგადად და, კერძოდ, ქართული მეცნიერების ამოძირკვის მანიაკალური იდეით.

ლომაია-ბენდუქიძე-ნოღაიდელის მიერ შემუშავებული კანონპროექტი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომელიც საქართველოს მთავრობამ პარლამენტში 2005 წლის ოქტომბრის ბოლოს შეიტანა, ითვალისწინებდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან 65 წელს გადაცილებული უკლებლივ ყველა მეცნიერის გაძევებას და ინსტიტუტებისათვის საბაზო დაფინანსების შეწყვეტას, ანუ მათ ფაქტობრივ ლიკვიდაციას. მაშინდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ (ძირითადად, „ახალმა მემარჯვენეებმა“) მიაღწია კანონიდან ამ ორი დამანგრეველი მუხლის ამოღებას, მაგრამ ამ შესწორებით კანონის ძირითადი არსი მაინც არ შეიცვალა. საქართველოს პარლამენტმა, ფაქტობრივად, უარყო რა მეცნიერების განვითარების ევროპული მოდელი, უარი თქვა მეცნიერების სფეროში უკვე დაწყებულ რეფორმაზე და დააკანონა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც კვლევით დაწესებულებათა ერთიანი სისტემის, დაშლა. ეს დაშლა-განადგურება საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის დადგენილებით, რომლის შემუშავებაშიც, სამწუხაროდ, რამდენიმე ულირსმა მეცნიერმაც მიიღო მონაწილეობა. უკლებლივ ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გამოიყვანეს აკადემიის სისტემიდან და ხელახლა დააფუძნეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, თანაც მათ არ დაუკანონეს უძრავი ქონება, რაც, ხაზგასმით უნდა ითქვას, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის უხეში დარღვევაა. რეალურად ინსტიტუტები დაუქვემდებარეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელსაც მეცნიერებაზე ზრუნვის არც უნარი აქვს და არც სურვილი, მეცნიერების ჯალათის როლს კი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ასრულებს.

მთელი ამ დროის განმავლობაში სამინისტრო აბსოლუტურად უყურადღებოდ ტოვებდა და ტოვებს ინსტიტუტების თხოვნას სახელფასო ფონდის გაზრდის შესახებ, თუმცა კარგად მოეხსენება, რომ მეცნიერთა თანამდებობრივი სარგოები რეალურ საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია. სამინისტროს არც ის ადარდებს, რომ სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებები ვერ ახერხებენ უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გამოწერასა და ქვეყანა არსებითად მეცნიერული ინფორმაციის ვაკუუმშია მოქცეული. სამაგიეროდ, ლომაიას მმართველობის პერიოდიდან დაწყებული, სამინისტრო, რომლის ფუნქცია და პირდაპირი მოვალეობა განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვაა, „წარმატებით“ ითავსებს პოლიციურ ფუნქციებს — გამუდმებით ემუქრება მეცნიერებს ერთ დროს მათი ინსტიტუტებისათვის აგებული შენობებიდან გამოყრით და „რეზერვაციებში“ გადასახლებით (ამ მხრივ, მინისტრის ახლანდელი მოადგილე ნ. სურგულაძე ლომაიას „ღირსეული“ მემკვიდრეა).

არც სამინისტრო და არც საქართველოს პრეზიდენტთან არსებული „სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების საბჭო“ (თანათავმჯდომარეები: ფ. თოდუა და ნ. სურგულაძე) არასდროს დაინტერესებულა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობით და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან ერთხელაც არ გამოუთხოვია მასალები ამ საქმიანობის შეფასების შესახებ. შეფასება და ანალიზი მათ არც არაფრად სჭირდებოდათ, რადგან ინსტიტუტებს უყურებდნენ, როგორც შენობებს და არა როგორც სამეცნიერო დაწესებულებებს, სადაც ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტელექტუალური ფასეულობები იქმნებოდა. უფრო ზუსტად, სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტი აღიზიანებდათ და ეძებდნენ შესაფერის მომენტს მეცნიერებაზე გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად. ეს მომენტიც დადგა — 2010 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა ნ. სურგულაძის, გ. თევზაძისა და გ. ხუბუას აქტიური მონაწილეობით შემუშავებული დადგენილება 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უნივერსიტეტების სტრუქტურულ ერთეულებად რეორგანიზაციის შესახებ, რასაც უახლოეს მომავალში უთუოდ მოყვება დაკნინებული და უფლებააყრილი ინსტიტუტების გაუქმება და მათ მიერ დაკავებული შენობების დატაცება-გასხვისება. ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ბატონმა გ. ხუბუამ 2006 წელს ერთი მოკლე ბრძანებით გააუქმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი და 1500-მდე მეცნიერი ქუჩაში გაყარა (ეს ხალხი სამართალს დღემდე ეძებს).

> მეცნიერებისა და განათლების ამოძირკვის მანიაკალური იდეით შეპყრობილი ხელისუფლების მორიგი აგრესია

ზემოხსენებული დადგენილება უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გამოყენებითი კვლევების სფეროში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ერთ-ერთ საუკეთესო დაწესებულებას, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს, არ მიეცა საშუალება გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული თვითგამორკვევის უფლება.

რიგში დგას 41 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება — საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ასე რომ, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეცნიერო კერებისა და სკოლების გასანადგურებლად „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. მით უმეტეს, მთელი სიმძლავრითაა ამუშავებული ნაციონალების მიერ ჩვენს თვალწინ შექმნილი სიცრუის, ცინიზმის, ფარისევლობისა და თაღლითობის მანქანა.

გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განადგურებით ჩვენს ახალგაზრდობას საბოლოოდ დაეხშობა მეცნიერებაში შესასვლელი კარები. მეცნიერების სიკვდილი კი გამოიწვევს საშუალო და უმაღლესი სკოლების სიკვდილს და, შესაბამისად, ქვეყნის შეუქცევად და გამოუსწორებელ დეგრადაციას.

ამ სამი წლის წინათ ერთმა ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერმა ბრძანა: „თუ მთავრობის ამნაირი პოლიტიკა კვლავაც გაგრძელდა, ჩვენ მალე ისტორიულის ნაცვლად ზოოლოგიურ სინამდვილეში ამოვყოფთ თავსო“. ჩვენმა საზოგადოებამ, თუკი იგი შეგნებულად არ დგას გადაგვარების გზაზე, ყურად უნდა ილოს ეს შეგონება. ჩვენი კულტურის, მეცნიერებისა და განათლების გადასარჩენად ხმა უნდა ამოილოს ყველამ — ჩინიანმა თუ უჩინომ, მეცნიერმა თუ ხელოვანმა, ხელისუფლების მოწინააღმდეგემ თუ მხარდამჭერმა, ახალგაზრდობამ, იმ კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებმა, რომლებიც ხელისუფლების საამებლად დიდი ენთუზიაზმით აცხადებენ თვითლიკვიდაციას, საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქემ. კარგა ხანია, დადგა დრო, თავისი პოზიცია საჯაროდ გამოთქვას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, რომელსაც ზნეობრივადაც, პროფესიულადაც და იურიდიულადაც ევალება ქართული მეცნიერების მესვეურობა.

„ქართული აკადემია“
23.07.2010.

◉ პრობლემა

# ვიდაცამ სამინისტროებს გადაუფრინა

**თავიდან ამ წერილისთვის სათაურად „ყვარლის ტბაზე ამოვარდნილი ქარბორბალა“ მინდოდა დამერქმია. ის „ქარბორბალა“, რომლის ამოვარდნაც პირდაპირ ეთერში ვიხილეთ და იმედი გაგვიჩნდა, რომ ამ ჩვენს უნიჭო, უცოდინარ და უსაქმურ ბიუროკრატებს დაერეოდა. დაერეოდა, ერთად მოხვეტავდა, ჰაერში აიტაცებდა და იქ შესტყორცნიდა, საიდანაც მოვიდნენ. არა, რაიმე „უწესო“ არ იფიქროთ, მე ის ადგილები ვიგულისხმე, სადაც მათ ინგლისურისა და კომპიუტერის მეტი ვერაფერი ისწავლეს (ისე გულზე ხელი დაიდეთ და თქვით — თქვენ რა გეგონათ?).**

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც კი „ირიჟრაჟა“, „ქარიც ჩადგა“.

„ჩადგა ქარბორბალა“ და „დაქიაქებული“ ბიუროკრატიის ნაცვლად ტკბილ მოგონებად მხოლოდ მართლაც რომ ლამაზი თვალების მქონე მდგრადი ეკონომიკისა თუ რაღაც ეგეთი მინისტრის დაუფარავად ირონიული ღიმილი დაგვრჩა (ე, მე კი ვიცი, სინამდვილეში რაც „დაგვრჩა“, მაგრამ როგორი სათქმელია?.).

არა, ხალხო, არც „მახათი“ მაქვს მხედველობაში და არც ის ადგილი, სადაც ის მახათი „გამოიყენება“. ღმერთმა დამიფაროს. უბრალოდ, როდესაც პრეზიდენტი ტყეების მოვლასა და მათს გონივრულად მართვაზე საუბრობდა, ტყიბულის რაიონში გაჩეხილი წაბლისა და წიფლის უნიკალური ჯიშის ხეები გამახსენდა. გაჩეხილი ხეები და ის საშიშროება, რომლის შესახებაც ამ ორიოდე თვის წინათ ჩვენი შეშინებული მოსახლეობა გაზეთში წერდა.

სწორედაც რომ „შეშინებული“ და არა „შეშფოთებული“, რადგანაც „შფოთვით“ მხოლოდ ის ევროპელები „შფოთავენ“, ვისაც არანაირი პრობლემები არ აწუხებს, ხოლო ტყიბულის მოსახლეობა კი მართლაც დიდი საშიშროების წინაშე დგას.

არ გადავვარდები პათეტიკაში და არ დავიწყებ გულისამაჩუყებელი ფრაზების წერას ტყიბულის ბუნების შესახებ. არ დავიწყებ, რადგანაც კარგად ვიცი, რომ იმ ხალხს, ვინც ამ საშინელებას სჩადის, ნამდვილად არ მოადგება თვალზე „ობოლი ცრემლი“. არ მოადგება, რადგანაც ჯერ ერთი, ისინი მაშინაც არ ტიროდნენ, როცა თვით პრეზიდენტი „ტიროდა“ და მეორეც, მათ შუბლის ძარღვი უკვე კარგა ხანია გაწყვეტილი აქვთ.

ამ მიზეზების გამო უკვე ნაწილობრივ დამდგარ შედეგებს ჩამოვთვლი „მშრალად“.

1. ტყიბული ფაქტობრივად უკვე გადაიქცა მეწყერსაშიშ ზონად, რადგანაც გაჩეხილი ტყის მასივის მოცულობამ საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია.

2. გაქრობის პირასაა მეფუტკრეობაში დასაქმებულთა სამუშაო ადგილები (არ ვლაპარაკობ სამკურნალო თვისებებით გამორჩეულ წაბლის თაფლზე, რადგანაც ეს პათეტიკურად ჟღერს, ხოლო „სამუშაო ადგილები“ უფრო „მდგრად-ეკონომიკური“ ფრაზაა.).

3. ირღვევა მიკროკლიმატი, რადგანაც იზრდება წყლის აორთქლების პროცენტი.

4. უქმდება ის სამუშაო ადგილები, სადაც მოსახლეობის ის ნაწილი იყო დასაქმებული, რომელიც ტყეში სხვადასხვა სახის ხიჩატელს აგროვებდა, თუ თავის საქონელს კვებავდა (აქაც ვეცადე, რომ ამათთვის გასაგები „მდგრად-ეკონომიკური“ ფრაზეოლოგია გამომეყენებინა.).



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ოდნავ“ სასაცილოდ (სამწუხაროდ, მწარედ-სასაცილოდ.) ისმის პრეზიდენტის ინიციატივები ევროპელთათვის საახალწლო ნაძვის ხეების მიწოდებისა და ფარავნის ტბის ნაპირებზე კავკასიური სოჭის გაშენების შესახებ.

რა მაგის პასუხია და „თეთრების“ გარდა, არც ერთ ოპოზიციონერს არ გამოუდვია თავი ამ პრობლემის გასახმიანებლად.

როდესაც ამ საკითხზე „მეორე რანგის“ „ლიდერებს“ ვესაუბრე, მათს თვალებში ზუსტად ისეთივე სიცარიელე დავინახე, როგორიც ეკონომიკის მინისტრის აწ უკვე ყოფილ მოადგილეს ექნებოდა იმ ფურცლის წაკითხვის დროს, რომელიც პრეზიდენტმა ყვარლის ტბის ნაპირზე ააფრიალა.

ისე, მეც გვარიანი გულუბრყვილო ვარ. აბა, სად ეცალათ მაშინ ტყიბულის რაიონისთვის „ჩვენს ოპოზიციონერებს“, ისინი ხომ „დიდი ცვლილებებისთვის“ და „უზარმაზარი შედეგებისთვის“ ემზადებოდნენ.

რაც შეეხება თავად ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციას ამ განუკითხაობის მიმართ, პირდაპირ ვიტყვი, რომ ისინი დაშინებულნი არიან.

დიახ, ამ შემთხვევაში უკვე დაშინებულნი, რადგანაც თქვენც მოგეხსენებათ და ოდნავ ზემოთ უკვე ვწერდი, რომ „შეშფოთება“, მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შვილთა პრივილეგიაა და არა ასოცირებული წევრის სტატუსის მომლოდინე, „საკურორტო ქვეყნის“ იმ მოქალაქეთა შესაძლებლობა, რომელთა მომავალი ზემოთ ნახსენები „შეშფოთებული“ ხალხის მომსახურე პერსონალის დონემდე „ამაღლებაა“.

დაშინებით კი მიხვდებით, რომ არც „ბუას“ დაუშინებია და არც „გუდიან კაცს“.

მოკლედ რომ ვთქვა, ოთხ წელიწადში ევროპელები ზაფხულობით ფარავნის ტბის ნაპირას, კავკასიური სოჭის ჭვრეტით დატკბებიან, ხოლო საახალწლოდ წაბლის ხისგან დამზადებული ავეჯით გაწყობილ ოთახში, რაჭულ ნაძვის ხეს მორთავენ. სამაგიეროდ ქართული „კურიერები“ ზუსტად დაითვლიან იმ ზარალს, რასაც მეწყერი ტყიბულის რაიონს მიაყენებს.

რადგანაც ყველა გზა მაინც მთავრობისკენ მიდის, ამიტომ კითხვას, თუ რას ნიშნავდა ყვარლის ტბაზე დატრიალებული ქარბორბალა, თავისი მშვიდი გაგრძელებებით, უმარტივეს პასუხს გავცემ: — პრეზიდენტმა გადაწყვიტა სამინისტროებისთვის მორიგი პიარ-აქცია ჩაეტარებინა დევიზით „ყველა ერთისთვის“.

თუ ამ დევიზს გულუბრყვილო კაცის პოზიციიდან შევხედავთ, სიტყვა „ყველა“, ხელისუფლებას უნდა ნიშნავდეს, ხოლო სიტყვა „ერთი“ — საქართველოს მოსახლეობასა და იმ ინვესტორებს, რომლებიც რეალურ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც კარგი უნდათ.

ვერაფერს იტყვი. მართლაც კარგი ფორმულაა. კარგი კი არა, ძალიან კარგი, მაგრამ სინამდვილეში კი „ნურას უკაცრავად!“

დიახ, სწორედაც რომ „ნურას უკაცრავად“, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, თუ ვინ არის „ყველა“ და ვინ არის ის „ერთი“.

არადა მთავრობის წლევანდელი პიარაქციის ფორმატიცა და დროც, შარშანდელის მსგავსად ძალიან კარგად შეირჩა.

შარშან მთავრობა ქუჩაში გამოვიდა და მოსახლეობას საკნების, ანტისანიტარიისა და ერთმანეთთან შეუთანხმებელი, უკვე ყელში ამოსული ოპოზიციური ლიდერების ნაცვლად, „ვატმანის ქაღალდებზე“ დახატული, უკვე გაკეთებული, თუ უახლოეს მომავალში გასაკეთებელი პროექტები აჩვენა (ცხადია, იქ არც გაჩეხილი ტყეები იყო „დახატული“ და არც სხვა „უწესობები“.).

წლეულს კი პრეზიდენტმა სამინისტროებში მისვლა და „კურიერების“ საშუალებებით გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების „გამომზეურება“, მაღალი რანგის უცხოელი დიპლომატების ვიზიტების შემდეგ გადაწყვიტა, რითაც გვაჩვენა, რომ საგარეო ფრონტზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, შიდა პრობლემების მოგვარების დროც დადგა.

ეჰ, სამწუხაროდ ყვარლის ტბაზე ჩატარებული მთავრობის სხდომისა და სააკაშვილის სამინისტროებში სტუმრობის შემდეგ, ნათლად გამოჩნდა რომ მინისტრები, მათი მოადგილეები, სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, მოკლედ მთელი ხელისუფლება გუგულის იმ ბარტყებს ჰგვანან, რომლებიც „მშრომელი“ ფრინველების ბუდეებში სხედან და ნამდვილ პატრონებს ლუკმას აცლიან პირიდან. თავად ის გუგული კი, რომელმაც ეს „ბარტყები დაყარა“, მშვიდად ზის კარგა შემაღლებულ ადგილას და დარჩენილ წლებს უთვლის საქართველოს.

**გია გაბრიჭიძე**

◉ პოზიცია

# „სერბეთსა და საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო გაერთიანების დამოკიდებულება ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება“



***რატომ ჩათვალა გაეროს საერთაშორისო სასამართლომ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით პრიშტინას საერთაშორისო სამართალი არ დაურღვევია და როგორ შეიძლება აისახოს კოსოვოზე საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში, პროფესორ ლევან ალექსიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ლევან, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ მიიღო დასკვნა, რომლის თანახმადაც კოსოვოს 2008 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით საერთაშორისო სამართალი არ დაურღვევია. მაშინ როცა საერთაშორისო სამართლის დარღვევა ფაქტია, ანუ დაირღვა გაეროს წევრი ქვეყნის, სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა, რის საფუძველზე გააკეთა ამგვარი დასკვნა სასამართლომ?**

— სამწუხაროდ, ჩვენს მედიაში ხშირ შემთხვევაში არასწორად იხმარება ტერმინი ჰააგის საერთაშორისო სასამართლო. უნდა ვიცოდეთ, რომ გაეროს ეგიდით სამი სასამართლო ფუნქციონირებს — გაეროს საერთაშორისო სასამართლო, გაეროს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო და საერთაშორისო სასამართლო, ანუ ტრიბუნალი, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულობებს იძიებს.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო განიხილავს დავებს მხოლოდ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ ამავე დროს, მას, როგორც გაეროს ორგანოს, აკისრია ფუნქცია გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას ნებისმიერ საკითხზე მისცეს საკონსულტაციო დასკვა. კოსოვოს შესახებ მიღებულ დასკვნაში წერია — **დასკვნას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია.** ის არის პასუხი იმ თხოვნაზე, რომელიც გაეროს საერთაშორისო სასამართლომ გაეროს გენერალური ასამბლეიდან მიიღო. გაეროს გენერალური ასამბლეა თავად გადაწყვეტს რა გააკეთოს და როგორ მოიმოქმედოს სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნის საფუძველზე. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა კოსოვოს საკითხზე სარჩელი არავის არ შეუტანია და არც სასამართლო პროცესი არ გამართულა. ეს არის, მე ვიტყოდი, საკითხის თეორიული განხილვა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება საერთაშორისო სამართალს. აქედან გამომდინარე, კოსოვოს თემაზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს, ვინაიდან მისი გადაწყვეტილება მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა. დასკვნის 33-ე პარაგრაფში წერია, რომ იგი გენერალურ ასამბლეას მიეწოდება.

მთელი ეს გნიასი იმის შესახებ, რომ სასამართლოს დასკვნა რაიმეს სერიოზულს ნიშნავს, გაუგებარია, ვინაიდან, საუბარია მხოლოდ სასამართლოს საკონსულტაციო აზრზე კოსოვოში შექმნილ სიტუაციაზე.

კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით დასკვნა მიიღეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იქ შექმნილ სიტუაციაზე, რომელიც იყო შედეგი გენოციდისა და სერბეთის მიერ კოსოვოსთან მიმართებაში წარმოებული პოლიტიკისა, რომლითაც ბელგრადმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართალი. დასკვნაში ფართოდ არის ასახული თუ რას წარმოადგენდა კოსოვო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური რეზოლუციებით კოსოვოში 9 წელი დაწესებული იყო და მოქმედებდა საერთაშორისო ადმინისტრაცია. საერთაშორისო ადმინისტრაციაში მომუშავე ადამიანები და მოსამართლეები არ იყვნენ კოსოვოელები. კოსოვო გამოცხადებული იყო თვითმმართველ ტერიტორიად, ანუ მას სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა. ეს იყო გაეროსა და ნატოს მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორია. აქედან გამომდინარე, როდესაც დაისვა საკითხი კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, ეს მოხდა იმიტომ რომ, საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს ერთი ტერიტორიის სახელმწიფოდან გამოყოფას, თუ ეს ტერიტორიები კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ტერიტორია იყო და კოლონიური პოლიტიკა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს შეეხო.

იხ. 4 გვ.

# ჩვენ ჩვენი გაგვჭირვებია!



**პოზიცია**

**(მესამე გვერდიდან)**

მაგრამ, საერთაშორისო სამართლით გამოყოფის უფლება არ შეიძლება ლახავდეს იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, რომელიც დემოკრატიულია, აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებს და ხალხის თვითგამორკვევის უფლებას (იგულისხმება ავტონომია ან კულტურული ავტონომიის ქონა, და არ განიცდის დისკრიმინაციას, ასევე, მთავარია, ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს და არჩეულია მოსახლეობის მიერძ დანარჩენი რაზეც არის საუბარი, არის შედეგი კონფლიქტისა და მოუწესრიგებლობისა, რომელიც მას შემდეგ წარმოიშვა, რაც სერბეთმა კოსოვოელების წინააღმდეგ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა გაატარა.

კოსოვოს შესახებ მიღებულ სასამართლო დასკვნაში წერია, რომ მას შემდეგ, რაც სერბეთთან მოლაპარაკება შეუძლებელი გახდა და კოსოვოში პრაქტიკულად ჰუმანიტარული კატასტროფა იყო, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღება საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ იყო.

**— გაეროს საერთაშორისო სასამართლომ მხოლოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე იმსჯელა და არ განუხილავს კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების საკითხი. თქვენი აზრით, რატომ?**

— თავისთავად დეკლარაციის მიღება ცალმხრივი გამოცხადებაა, მაგრამ სასამართლომ განიხილა რა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ჰქონდა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება, დაადგინა, რომ იმ ვითარებაში, რომელშიც ქვეყანა სერბეთთან დაპირისპირებაში აღმოჩნდა, და მას შემდეგ რაც კოსოვო საერთაშორისო ადმინისტრაციის 9-წლიანი მეურვეობის ქვეშ იყო, კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების უფლება ჰქონდა.

სასამართლო დასკვნაში მრავალგზისაა ხაზგასმული, რომ მიღებული დასკვნა ეხება მხოლოდ კოსოვოში შექმნილ სიტუაციას. სასამართლომ იცოდა, რომ თუ იგი ზოგადად დაუჭერდა მხარს გარკვეული ტერიტორიის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას, მას მხარს ბევრი ქვეყანა არ დაუჭერდა. მოგეხსენებათ, გადაწყვეტილებას მხარი ძირითადად იმ ქვეყნებმა არ დაუჭირეს, სადაც სეპარატისტული მოძრაობები საკმაოდ ძლიერია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთოდ, კოსოვოს შემთხვევა პრეცედენტი არ შეიძლება იყოს, ვინაიდან კოსოვოში ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს. და სწორედ ამის გამო იყო, რომ სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის მილოშევიჩის საქმეს, იუგოსლავის ტერიტორიაზე ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებებს საერთაშორისო ტრიბუნალი განიხილავდა.

**— რამდენად მისაღებია სასამართლოს დასკვნა საქართველოსათვის და რატომ არ არის სასარგებლო ეს სასამართლო გადაწყვეტილება სოხუმისა და ცხინვალისათვის?**

— აქტუალური საკითხია, რამდენად შეიძლება გამოიყენონ კოსოვოს შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნა საქართველოსათვის საზიანოდ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განცხადებას, რომელიც კოსოვოს საკითხზე სასამართლოს დასკვნის შესახებ თეთრმა სახლმა და სასამართლოზე აშშ-ის წარმომადგენელმა გააკეთა, — რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული და არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება სხვა შემთხვევებზე და პირველ რიგში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმაზე, რომ სასამართლომ თავისი დასკვნა კოსოვოს სპეციფიკურ საკითხს მიუძღვნა.

გარდა ამისა, საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის გადაწყვეტილებების სახით უამრავი მასალა აქვს. ყველა ამ დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნად წერია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ხელშეუხებელია. რომ არც აფხაზებს და არც სამხრეთელ ოსებს არავითარი უფლება არა აქვთ ცალმხრივად, ძალის გამოყენებით გამოეყონ საქართველოს სახელმწიფოს. ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ ეს მასალები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აბსოლუტურად მყარი სამართლებრივი საფუძველია.

კოსოვოსგან განსხვავებით, საქართველოს შემთხვევაში პირიქითაა, ჩვენთან აფხაზებმა ჩაიდინეს ეთნიკური წმენდა, ეს აღიარებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. თუ რუსები სამხრეთ ოსეთში ჩვენ გვაბრალებდნენ ოსი ხალხისათვის გენოციდის მოწყობას, ტალიავინის კომისიამ დაამტკიცა, რომ ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა. იგივე ტალიავინის კომისიის დასკვნაში დოკუმენტურად არის დამტკიცებული სწორედ რუსების მონაწილეობით და ხელშეწყობით ქართული სოფლების მოსახლეობის მკვლელობების, წამებისა და განადგურების ფაქტები. გარდა იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ მიღებული რეზოლუციები საქართველოს სასარგებლოდაა, ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც ცალსახად წერია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იყო. სწორედ ამიტომაა, რომ საერთაშორისო საზოგადოება რუსეთისაგან დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობების აღიარების უკან გაწვევას.

**— რუსეთის საგარეო უწყება გამოეხმაურა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაგრამ რა გამოდის, ერთი მხრივ მოსკოვი კოსოვოს დამოუკიდებლობას აპროტესტებს, ხოლო მეორე მხრივ მსოფლიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ მოუწოდებს?**

— ეს ის შემთხვევაა, როცა იტყვიან — ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. რუსეთი უსამართლოდ მიიჩნევს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მაგრამ თავად საქართველოს რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს. ვთქვათ, დასავლეთის ქვეყნები ცუდები არიან, მაგრამ იგივეს თავად რატომ აკეთებ? ყველასათვის ნათელია, რომ ამ საკითხებში რუსეთი ორმაგი სტანტარდების პოლიტიკას ურცხვად ატარებს.

რა განცხადებებიც არ უნდა აკეთოს რუსეთმა, კოსოვოს შესახებ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს დასკვნას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. რეალურად, კოსოვოს შემთხვევა პრეცედენტი არაა. ეს არის სპეციალურად კოსოვისათვის შექმნილი ნორმის ინტერპრეტაცია.

კოსოვოს საკითხში მოსკოვის პოზიცია ფლიდობის, ცბიერებისა და ორმაგი სტანდარტების ნათელი მაგალითია. ის მოტივაცია, რომლის საფუძველზეც რუსეთმა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ საკითხებს მე რამდენიმე სტატია მივუძღვენი. ახლა რუსეთს თავი სირაქლემასავით სილაში აქვს ჩაფლული და ისეთი სახე აქვს მიღებული, თითქოს ვერ ამჩნევს, თუ რა ხდება, როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით.

ტალიავინის კომისიამ რუსეთს აგრესორი არ დაარქვა, თორემ მთელი მოხსენება აგებულია იმაზე, თუ რა ჩაიდინა რუსეთმა საქართველოს ამ ორ რეგიონში. ჩვენი სიმართლე ეჭვგარეშეა. კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის აღიარებამ რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პოზიციები ვერ გაუმყარა, უფრო პირიქით. რაც სასამართლოს დასკვნაში წერია, რუსეთის წისქვილზე წყალს ნამდვილად არ უშვებს, ვინაიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღირება განსაკუთრებული შემთხვევა იყო და ის, რისთვისაც სერბეთი დაისაჯა, ჩვენ შემთხვევაში მსხვერპლი სწორედ რომ საქართველოა.

**— რამდენად საფუძვლიანია სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის სერგეი შამბას მტკიცება, რომ თუ აფხაზურმა მხარემ ანალოგიური განცხადებით მიმართა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ აფხაზეთსაც აქვს თვითგამორკვევის უფლება?**

— ჯერ ერთი მათ განცხადებას არავინ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არაა და ჰააგის სასამართლო მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის დავის საკითხებს განიხილავს. დსთ-ს ექსპერტებმა 2000 წელს მოსკოვში მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ბევრ საკითხზეა საუბარი, მაგრამ რაც შეეხება ერთა თვითგამორკვევის უფლებას, დსთ-ს ექსპერტებმა აღიარეს და დეკლარაციაში ასახულია, რომ არც აფხაზებს და არც სამხრეთელ ოსებს არა ჰქონდათ საქართველოდან გამოყოფის უფლება, თუკი ისინი არ არიან დისკრიმინირებულნი. მათ არა აქვთ უფლება ცალმხრივად გამოვიდნენ სახელმწიფოს შემადგენლობიდან. საინტერესოა ისიც, რომ დეკლარაციაში აღნიშნულია — ქვეყანას, რომელსაც აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, აქვს უფლება კონფლიქტურ ზონებში აღადგინოს საკონსტიტუციო წესრიგი.




# „სერბეთსა და საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო გაერთიანების დამოკიდებულება ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება“




ჰააგის სასამართლოში რუსეთის მიმართვასაც არავინ არც მიიღებს და არც განიხილავს, იმიტომ რომ არ არის სუბიექტი, ვის წინააღმდეგ შეიძლება წარადგინოს სარჩელი რუსეთმა. გენერალურმა ასამბლეამ კოსოვოსთან დაკავშირებით იმიტომ მიმართა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს, რომ კოსოვოსთან დაკავშირებით ევროკავშირსა და ევროსაბჭოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები ჰქონდა მიღებული.

მე ჩემს სახელმძღვანელოში დავწერე, რომ კოსოვოს აღიარება საერთაშორისო სამართლის დარღვევა იყო, მაგრამ ჰააგის სასამართლომ მომხდარს საინტერესო ახსნა მოუძებნა.

იმ კონტექსტის გათვალისწინებით, როგორი დასკვნა მიიღო ჰააგის სასამართლომ კოსოვოსთან მიმართებაში, საქართველოს არანაირი საფრთხე არ ელის. უფრო მეტიც, იგივე კლინტონმა და სხვა სახელმწიფოების ლიდერებმა კარგად იცოდნენ, თუ რა დასკვნას მიიღებდა გაეროს საერთაშორისო სასამართლო. ამ პროცესს რომ გავყვეთ რუსეთი ოკუპანტადაა აღიარებული და რაკი რუსეთი ოკუპანტია, ეს ნიშნავს რომ ეს ყველაფერი დროებითია და რუსები ოკუპირებული ტერიტორიებიდან უნდა გავიდნენ. სერბეთთან და საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულება ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება.

**კობა ბენდელიანი**

**NDI-ის კვლევები**

# 84 პროცენტს სააკაშვილის გაპრემიერება არ სურს

**(მეორე გვერდიდან)**

აღსანიშნავია, რომ ბოლო გამოკითხვის მიხედვით იკლო მოსახლეობის ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობის გამო უკმაყოფილებამ და პირველ ადგილზე დაუსაქმებლობამ გადაინაცვლა. თუკი პოლიტიკოსები ტერიტორიულ საკითხებსა და რუსეთთან ურთიერთობაზე ბევრს საუბრობენ, მოსახლეობის სურვილია, მეტი მოისმინონ მათგან სოციალურ პრობლემებზე, უმუშევრობაზე (მოსახლეობის ერთი მესამედი დაუსაქმებელიაძ, კომუნალურ გადასახადებსა და სხვა ყოფით საკითხებზე. „მე დავუმატებდი ხელფასების საკითხსაც“, — აღნიშნა ლუის ნავარომ. თუმცა განსხვავება არის თბილისსა და რაიონებში გამოკითხულთა შორის. ქალაქებს შედარებით მეტად კომუნალური გადასახადები აწუხებთ, ხოლო სოფლად გაზი და სოფლის მეურნეობის მიმართ უყურადღებობა.

გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი ყოფა არც გაუმჯობესებულა და არც გაუარესებულა 2008 წლის შემდეგ. და მაინც ფიქრობენ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ალბათ, სწორედ ამ ფაქტორმა იმუშავა ამ არჩევნებზე ხელისუფლების სასარგებლოდ, — ამბობს ლუის ნავარო, — მით უმეტეს, რომ რესპონდენტთა 59 პროცენტი ჩატარებული არჩევნებით კმაყოფილია, მხოლოდ 10 პროცენტია უკმაყოფილო.

რაც შეეხება დემოკრატიას, მოსახლეობა მას აღიქვამს, როგორც მათი პირადი უფლებების თავისუფლებას. ამიტომაც უმეტესობა ამბობს, რომ ქვეყანაში არ არის ნორმალური დემოკრატია. გასატარებელ პოლიტიკურ რეფორმათა შორის პირველ ადგილზეა — სასამართლო, შემდეგ მოდის საკუთრების უფლება და საგადასახადო რეფორმები. ეს კურსი, რა თქმა უნდა, ხელისუფლების გასატარებელია, ხოლო, რაც შეეხება ოპოზიციის მისამართით გამოთქმულ საყვედურებს — ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოქალაქეები სწორედ მათგან მოითხოვენ, მოისმინონ პრობლემების შესახებ და კიდევ უფრო მთავარზე — პრობლემების მოგვარების გზებზე. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს ამ არგუმენტებს პოლიტიკური ელიტა.

**თეა მოსია**

აქტუალური ინტერვიუ

# გადავარჩინოთ ქართველი ერი ეკონომიკისა და კულტურის კატასტროფისგან

*ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ექსპერტი, საერთაშორისო სამართლის ევროპული საზოგადოების წევრი, პროფესორი ბიძინა სავანელი*



**საერთაშორისო სამართლის სტანდარტებისა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, არის თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველი ერი ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების და რესურსების, აგრეთვე ერისთვის საარსებო საშუალებების იურიდიული მესაკუთრე, თუ მათი იურიდიული მესაკუთრე ხელისუფლებაა?**

— სანამ უშუალოდ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, შესავლის სახით შემდეგს მოგახსენებთ:

გერმანია არის გერმანელი ერის სახელმწიფო, რუსეთი არის რუსი ერის სახელმწიფო, სომხეთი არის სომეხი ერის სახელმწიფო, საქართველო არის ქართველი ერის სახელმწიფო და ა.შ. სწორედ ამიტომ ჰქვია გერმანიას გერმანია, რუსეთს რუსეთი, სომხეთს სომხეთი, საქართველოს საქართველო და ა.შ. საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტერმინს თუ გამოვიყენებთ თითოეული მათგანი არის ***Stats Nation***, ანუ ერ-სახელმწიფო. მსოფლიოში დღეს 196 ***Stats Nation,*** ანუ ერ-სახელმწიფო არსებობს, მათ შორისაა საქართველო.

***Stats Nation***-ის ანუ ერ-სახელმწიფოს შინაარსი ღრმა მეცნიერულ დონეზე განხილული და დასაბუთებული აქვს საქართველოში საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელს მიხაკო წერეთელს თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა" (1910 წელი), რომელშიც, სხვათა შორის, საკმაო სიცხადით გამიჯნულია „ინტერნაცინალიზმი", ანუ ***Stats Nation***-ების, ანუ სახელმწიფოებრიობის მქონე ერებს შორის საერთაშორისო ურთიერთობები და „კოსმოპოლიტიზმი", ანუ ***Stats Nation***-ებისგან ანუ ერ-სახელმწიფოებისგან, გაწმენდილი მსოფლიო და ასეთი მსოფლიოს მოქალაქეები (კერძო უნივერსიტეტების ლექტორებს ვურჩევ მიხაკო წერეთლის ნაშრომი „ერი და კაცობრიობა" შეიტანონ საერთაშორისო სამართლის აუცილებლად გამოსაყენებელი ლიტერატურის სიაში).

კოსმოპოლიტიზმი ქადაგებს უარს ეროვნულ სუვერენიტეტზე, სახელმწიფო საზღვრებზე, ენაზე, ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე და აქცენტს აკეთებს მსოფლიო მთავრობაზე, რომლის შემადგენლობის ფორმირებას მოახდენს ერთი — ღმერთისგან რჩეული ერის წარმომადგენელთა ჯგუფი.

ამ დროს მსოფლიოში დღეს, ვიმეორებ, 196 ***Stats Nation,*** ანუ ერ-სახელმწიფო არსებობს, მათ შორისაა საქართველო. ამ 196 ქვეყანაში მრავალი ათასი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს, რომელთაც ერ-სახელმწიფო არ აქვს და მათ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ეთნიკურ უმცირესობებად განიხილავს. ეთნიკურ უმცირესობებს, როგორც შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეებს ეთნიკური უმრავლესობის თანაბარი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური უფლებები აქვთ, ერთი გამონაკლისით: მათ შესაბამისი ერ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ აქვთ თავის ერ-სახელმწიფოს შექმნის უფლება (შეადარეთ, „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის" 1 და 27 მუხლები).

ახლა, რაც შეეხება თავად შეკითხვას. შეკითხვაზე პასუხი შემდეგია:

„ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი", რომლის ხელმომწერი ქვეყანა საქართველოა, კერძოდ, მისი მუხლი I სცნობს არა ხელისუფლების, არამედ **ერის უფლებას თავისუფლად განკარგოს თავისი კუთვნილი (ხაზს ვუსვამ, კუთვნილი) ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები. არც ერთ შემთხვევაში, არც ერს არ შეიძლება წაერთვას მისი კუთვნილი საარსებო საშუალებები** (ტექსტის დასასრული).

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის ძალით, აღნიშნულ საერთაშორისო პაქტს აქვს **უშუალო** (ხაზს ვუსვამ, უშუალო) იურიდიული მოქმედების ძალა საქართველოს ხელისუფლებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ **მას უფლება არ აქვს განკარგოს ქართველი ერის კუთვნილი ბუნებრივი სიმდიდრეები, რესურსები და საარსებო საშუალებები.**

უფრო მეტი, საქართველოს კონსტიტუციის, რომელიც, როგორც პრეამბულაშია მითითებული, საქართველოს მოქალაქეებმა ხელისუფლებას დაუდგინეს, მესამე მუხლი ჩამოთვლის იმ ბუნებრივი სიმდიდრეებს, რესურსებს და საარსებო საშუალებებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქენი საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს **გამგებლობაში** (ხაზს ვუსვამ, გამგებლობაში) გადასცემენ.

**ესენია: მიწა, წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები, ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი, ენერგეტიკული სისტემა, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები, აეროდრომები, თევზჭერა ზღვაში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა.**

ჩამოთვლილი ობიექტები, როგორც კონსტიტუცია ადგენს, **ხელისუფლებას გადაეცემა განსაკუთრებულ გამგებლობაში, ანუ მხოლოდ განსაკუთრებული მართვის უფლებით და არა საკუთრებაში,** რაც იმას ნიშნავს, რომ, ვიმეორებ, სახელმწიფოს უფლება არ აქვს განკარგოს ქართველი ერის კუთვნილი ბუნებრივი სიმდიდრეები, რესურსები და საარსებო საშუალებები, რადგან ისინი ერის საკუთრებაა და სხვა არავის (გამგებლობა და საკუთრება სრულიად განსხვავებული კატეგორიებია და სამართლის განსხვავებულ დარგებს განეკუთვნება. ეს სამართლის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმაც კი იცის).

**— საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, რა მოვალეობა აკისრია ხელისუფლებას კულტურული ობიექტების მიმართ?**

— საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით: „ხელისუფლება ვალდებულია ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას".

თუ რამდენად აღასრულებს ხელისუფლება თავის კონსტიტუციურ მოვალეობას, ამას პასუხი კულტუროლოგებმა უნდა გასცენ.

**— როგორ განსაზღვრავს საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შინაარს?**

— წარმოგიდგენთ ამონარიდს მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიდან, რომელიც ეძღვნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის არსს და ამ სფეროში წარმოშობილ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში ასახულია **კულტურული მემკვიდრეობის და კულტურული ფასეულობის** საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება:

**„კულტურული მემკვიდრეობა** არის ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, მის განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან;

**კულტურული ფასეულობა** არის შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც გააჩნია მხატვრული, ესთეტიური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება".

**— რა გარანტიებს ითვალისწინებს კანონი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების დაცვა-შენარჩუნებისთვის?**

— მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მე-4 თავი ეძღვნება ძეგლის დაცვას.

ამ თავის 23-ე მუხლი განსაზღვრავს **ძეგლის დაცვის ძირითად პრინციპს.**

ვკითხულობთ: „ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რაც განაპირობებს მის ისტორიულ-კულტურულ (მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიურ და სხვა) ან სამეცნიერო ღირებულებას".

ამ თავის 27-ე მუხლი განსაზღვრავს **ძეგლის დაშლისა ან გადაადგილების პირობებს.**

ვკითხულობთ: „1. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის **დაშლა** დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ხელახლა აღდგენის პირობით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის **გადაადგილება** დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) დაუძლეველი ძალის შედეგად არსებობს საფრთხე ძეგლის განადგურების ან მისი გამოუსწორებელი დაზიანებისა;

ბ) თუ არსებობს მისი გადაადგილების მომეტებული საჯარო ინტერესი, გარდა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისა.

3. უძრავი ძეგლის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველ გარემოსთან შეძლებისდაგვარად მიმსგავსებულ გარემოში, ავთენტური მასალის გამოყენებით მისი რეკონსტრუქციის გზით, თავდაპირველი სახით აღდგენის პირობით".

**— რა სანქციებს ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების ხელყოფისათვის?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე (2) მუხლის მესამე პუნქტის ძალით: **„ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის განადგურება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე".**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე (2) მუხლის ძალით: **„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის ფიზიკური დაცვის არეალში დამცავი ზონის რეჟიმის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ძეგლის აღქმა ან შეამცირა მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე".**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე პუნქტის ძალით: **„სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, რამაც საზოგადოების კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, და რაც ჩადენილია:**

ა) არაერთგზის?

ბ) ძალადობით ან იარაღის გამოყენებით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ესაუბრებოდა
**გურამ წიკლაური**



◉ არცა ვქნათ და არცა ვთქვათ...

*ამ დღეებში პრეზიდენტი სააკაშვილი მეტად საინტერესო ინიციატივის თაოსნად მოგვევლინა. მას ინიციატივები, თუ როგორც ახლა ამბობენ, ინიცირებები არც ადრე აკლდა, მაგრამ იმან, რაც ქვეყნის თავკაცმა ყვარლის ტბის ტურისტული კომპლექსის გახსნისას „გააჟღერა“, ყველა არდინდელი ინიციატივები ერთბაშად გადახურა. ახლა ჩვენო, თქვა ბატონმა მიხეილმა, განვითარების იმ ეტაპზე ვიმყოფებით, როცა დადგა ჟამი საქართველოს სინგაპურად გადაქცევისაო. და ჩვენც ერთი წუთითაც არ უნდა დავაყოვნოთ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავაქციოთ საქართველო სინგაპურად, მაგრამ არა სინგაპურულ სინგაპურად, არამედ ევროპულ სინგაპურადო(!). რაც შეგვეხება პირადად ჩვენ, ქართველებს, ვიქცევით უბრალო სინგაპურელებად თუ ევროპულ სინგაპურელებად, ამის თაობაზე პრეზიდენტს არაფერი უთქვამს. გასაგებია, ყველაფერს დაღეჭილს ხომ არ ჩაგვიდებს პირში, ზოგი რამ ხომ ჩვენ თავადვე უნდა გავაანალიზოთ და გავისიგრძეგანოთ. აბა, როგორ, სხვანაირად ვერც საქართველო იქცევა სინგაპურად და ვერც ჩვენ — სინგაპურელებად.*

# დროა, საქართველო გავასინგაპუროთ!..

## ოღონდ ერთი პირობით - მინისტრები მახათის გაყრას უნდა გადაეჩვიონ



ერთი ნამდვილად ვიცი, საქართველოს გასინგაპურებაში, რახან პრეზიდენტმა მოიწადინა, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს. დღეს მთელმა მსოფლიომ იცის სააკაშვილის თავდაჭერილობის ამბავი, ის ჯერ არაფერს შეგპირდება, მაგრამ თუკი რამის გაკეთება აიკვიატა, თავს მოიკლავს და შეუსრულებელს არ დატოვებს. ფული არა აქვს ბიუჯეტს? რა პრობლემაა, პრეზიდენტი სულაც თვითმფრინავის ფრთას ჩამოეკიდება, მთელ პლანეტას შემოირბენს, ხურჯინ-ხურჯინ შემოზიდავს ინვესტიციებს და ქვეყნის სინგაპურიზაციას მაინც არ გადადებს, ოღონდ მინისტრებმაც უნდა აუბან მხარი. მაგათ თუ ფეხი ფეხზე გადაიდეს და მარტო სკამის გათბობით დაკმაყოფილდნენ (ეს სააკაშვილის სიტყვებია), არაფერიც არ გამოგვივა. ამას კიდევ რა უჭირს, იმავე სააკაშვილის თქმით, ზოგი მინისტრი მთელ დროს უსაქმურობისგან ამთქნარებს და ერთ ადგილას მახათის გაყრით ერთობაო(!). მართალია პრეზიდენტი შეცდა (ანდაზის მიხედვით უნდა ეთქვა: ერთი ადგილის მახათში გაყრით ერთობაო), მაგრამ მინისტრები ხომ არ გაკადნიერდებოდნენ და შეუსწორებდნენ — ჩვენ მახათს ზუსტად იმ დანიშნულებით ვიყენებთ, როგორც ანდაზაშია მინიშნებულიო.

დემოკრატიული საქართველოს მახათით მოთამაშე მინისტრები თავჩაქინდრული და ყურებაწითლებულნი ისმენდნენ ყვარლის ტბის საკურორტო კომპლექსის ულამაზეს ფონზე პრეზიდენტის თავშეკავებულ ანგლობას. **კაი ბიჭები იყვნენ და ხმა ამოეღოთ! რა უნდა ეთქვა, მაგალითად, კვიტაშვილს, რომელმაც შეპირებული 100 საავადმყოფოდან ერთიც ვერ ააშენა, ან ხაჩიძეს, რომელსაც სამინისტროში ყველა თანამშრომელი გაუკოჭეს, ან კიდევ კვეზერელს, რომელსაც ხახვი და ნიორიც კი საზღვარგარეთიდან შემოაქვს?** გაბედავდნენ რამის თქმას და კაი კურდღელსაც დაიჭერდნენ!

ეს მინისტრები, მაგრამ რაც შეეხება პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს, აქვს სატრაბახო და რატომაც არ უნდა იტრაბახოს? **სხვა მიღწევებს რომ თავი გავანებოთ, მარტო ისიც ეყოფა თავის მოსაწონებლად, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნის ვალებმა 1,8 მილიარდი დოლარიდან ასტრონომიულ ციფრს — 8,790 მილიარდ დოლარს მიაღწია. როგორც ეკონომიკის ექსპერტები განმარტავენ, ამხელა ვალების გასტუმრებას საქართველო ვერასოდეს შეძლებს. ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი, გამაოგნებელი უარყოფითი სალდოთი, არავითარ შანსს არ იძლევა ამისთვის. საქართველოს იმპორტი სამჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს. ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასა ნახევრად შიმშილობს, ანდა ცხოვრობს იმ სახსრებით, რომელსაც მას უცხოეთში ფულის საშოვნელად გადახვეწილი ნათესავები და ახლობლები უგზავნიან.**

ეს მონაცემები, რომელიც უცხოური პრესიდან მოვიტანე, დამაჯერებლად ლაპარაკობს იმ „წარმატებაზე“, რასაც „ვარდების რევოლუციის“ ზელადთა წყალობით „საბჭოთა ფეოდალიზმიდან“ ამოყვინთულმა საქართველომ ბოლო ექვს წელიწადში მიაღწია. მიაღწია კარდინალური რეფორმების გზით, ყველაფრისა და ყოველივეს პრივატიზებით, რაც შესანიშნავად გამოიყენა „ოკუპანტმა“ რუსეთმა საქართველოში საკუთარი კაპიტალის გაბატონებისთვის. ამჟამად რუსული კაპიტალი დომინირებს ასეულობით ქართულ ფირმასა და კომპანიაში, დაწყებული ენერგეტიკული სექტორით, სამთო მრეწველობით და დამთავრებული მინერალური სასუქებითა და გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. მალე მთავრობა აუქციონის გზას გაუყენებს მაგისტრალურ გაზსადენს „მოსკოვი-თბილისი-ერევანი“ და, როგორც ამბობენ, ამ სარფიანი საქმისათვის არც რკინიგზას დაიხვალიებს.

საქართველოს სასინგაპურო სამზადისში თავის დროზე ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, რომელმაც ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურა წინა მთავრობის მიერ წაქცეული ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად. ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტთა გათვლებით, ბენდუქიძის ფენომენალური ფიზიკური მოცულობა პირდაპირ პროპორციულია იმ შედეგობრივი მოცულობისა, რაც მან ქართულ ეკონომიკას შესძინა. თუმცა, როგორც ყველა თავმდაბალ მამულიშვილს სჩვევია, ბატონი კახაც საკუთარი ნაღვაწით მაინც უკმაყოფილოა. ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს გაზსადენისა და რკინიგზის გაუყიდაობასო, ამბობს ხელების ფშვნეტით, ნამინისტრალი და ფულის მოგების წადილით პირსმომდგარ ნერწყვს უსიამოვნოდ ყლაპავს.

არა უშავს, ნათქვამია, ერთი შეცდომა მღვდელსაც მოუვაო და, აქედან გამომდინარე, ალბათ, ბატონ კახასაც ეპატიება ქვეყნის სიყვარულით ზოგი რამ „იაღლიშად“ ნაკეთები საქმე. მით უფრო, თუ ამ „იაღლიშების“ გამოსწორებით შეუდგა მოღვაწეობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრი ვერა ქობალია, რომელიც უცხოეთში მიღებული საბიზნესო განათლებითა და მდიდარი საპურცხობო გამოცდილებით დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას. **ის ჯერ კაბინეტშიც არ იყო შესული და უკვე მოასწრო კომუნისტების მიერ „ლეჩკომბინატად“ მონათლული უმშვენიერესი შენობის გაყიდვა. მეორე დღესვე აპირებდა გამომცემლობა „სამშობლოს“ აუქციონზე გატანასაც, მაგრამ იქ შესახლებულმა დევნილებმა ატეხეს „ხმაური“ და ფრთხილმა ქალბატონმა მინისტრმა მისი გაყიდვა დროებით შეაჩერა.**

შეაჩერა თორემ კი არ გადაიფიქრა. ახალმა მინისტრმა, ისევე როგორც თავის დროზე კახა ბენდუქიძემ, თავისი საქმიანობის პრიორიტეტად სახელმწიფო ქონების გაყიდვის დაჩქარება გამოაცხადა. სახელმწიფო ბიუჯეტის შესავსებად მთავარია ფული, რომელიც ინვესტიციების მოზიდვით, საქართველოს ქონების დაჩქარებული გაყიდვით, ბიზნესის დატერორებით, გადასახადების ზრდითა და გაუთავებელი ჯარიმებით ხაზინაში უწყვეტად შემოედინება. **ასე და მხოლოდ ასე მივაღწევთ ეკონომიკის განვითარებას და არა წარმოების გაფართოებითა და რეალური შემოსავლების ზრდით, როგორც ეს ხელისუფლების ოპონენტებს, სინამდვილეში კი ქვეყნის მოღალატეებს წარმოუდგენიათ. ბენდუქიძისა და ქობალიას საეკონომიკო პროგრამებს შორის ერთადერთი განსხვავება ის გახლავთ, რომ ბენდუქიძის დროს ეკონომიკა თურმე ყანყალ-ყანყალით ვითარდებოდა, ამჯერად კი ის გაცილებით საიმედოდ და მდგრადად განვითარდება.**

ამის წინაპირობად ქალბატონ ვერა ქობალიას საპრივატიზაციო აუქციონების გამჭვირვალობა მიაჩნია, როგორც მან 16 ივლისს გამართულ ბრიფინგზე „გააჟღერა“. აუქციონები ამიერიდან ეკონომიკის სამინისტროს შენობაში, მეორე სართულზე გაიმართება, სადაც ყველა ოთახი გამჭვირვალე მინებით კეთილმოეწყობა. მინისტრის განმარტებით, ეს ხელს შეუწყობს პრივატიზაციის პროცესის მეტ გამჭვირვალობას და პოტენციური მყიდველების მაქსიმალურ ინფორმირებას, რისთვისაც სამინისტროს პირველ სართულზე „ფრონტოფისი“ მოეწყობა. იქ ნებისმიერ მსურველს შეეძლება, შეუფერხებლად გაეცნოს პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას.

**ერთი სიტყვით, ყველაფერი გათვლილი, ყველაფერი აწონილ-დაწონილია იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველო სინგაპურად (ოღონდ ევროპულ სინგაპურად!) გადაიქცეს. და მაშინ ერთი სულმნათი პოეტის ნათქვამი, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ ასე გადავაკეთოთ: ერი გულადი, პურადი, ფულადი, სინგაპურატი...**

ოთარ ხუციშვილი

◉ ინფორმაცია

### ქართული მხარე ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა

ქართული მხარე ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკების მე-12 რაუნდზე მონაწილეობის მისაღებად გუშინ, გამთენიისას გაემგზავრა.

როგორც გამგზავრების წინ აეროპორტში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ განაცხადა, მოლაპარაკებებზე ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების და დევნილთა ღირსეულად დაბრუნების საკითხებს დააყენებს.

— სამწუხაროდ ამ რაუნდზე რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის მოლოდინი არ გვაქვს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ დაძაბულ და არაკონსტრუქციულ ფონს, რომელიც არის რუსეთის ფედერაციის და მათი კლიენტების მხრიდან, ცხინვალის და სოხუმის რეჟიმებს ვგულისხმობ. ჩვენ გვქონდა მუქარის მორიგი რაუნდი, როცა განაცხადეს, რომ საერთოდ არ აპირებდნენ ჟენევაში ჩამოსვლას. კარგია, რომ ჩამოდიან და ჩვენ მომხრეები ვართ ყველა შემთხვევაში მოლაპარაკების გაგრძელების, — განაცხადა ბოკერიამ.

ჟენევის მოლაპარაკების მე-12 დღე, 27 ივლისს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმები ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლით იმუქრებოდნენ, თუ ქართული მხარე მათთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებას არ გააფორმებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით კი საქართველოს ხელისუფლება პოზიციის შეცვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულება სეპარატისტებს მხოლოდ ე.წ. რესპუბლიკების დე ფაქტოდ ცნობისთვის სჭირდება.

### დაიწყო რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები

რუსეთისა და აფხაზეთის „ფლოტმა“ გუშინ ერთობლივი სამხედრო სწავლება დაიწყეს. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, „აფხაზური ფლოტის მხრიდან სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ სანაპირო დაცვის ძალები. სწავლებისას იგეგმება დამუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის წინააღმდეგ იქნება მიმართული“.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, აფხაზური მედია აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 2009 წლის სექტემბერში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის საზღვაო შეიარაღებულმა ძალებმა საჭიროების შემთხვევაში აფხაზეთის საზღვაო საზღვრის დამრღვევი საქართველოს გემების მიმართ იარაღი გამოიყენონ“.

აფხაზეთის ე.წ. ტერიტორიული წყლების მთლიანობის დასაცავად კი 2009 წლის დეკემბერში აფხაზეთში ორი რუსული სადარაჯო გემი „სობოლი“ და „მანგუსტი“ ჩაიყვანეს.

ХО-ЭИВ-ЭНО

## ინვესტიციები

***თავისუფალი** ეკონომიკური და ინდუსტრიული, თუ ვაჭრობის ზონები, ტექნოლოგიური პარკები და მსგავსი სისტემები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკმაოდ წარმატებულად მოქმედებენ. მათ ინვესტორთათვისაც და მომსახურების მომხმარებლებსაც, პირველ ყოვლისა, შეღავათიანი საბაჟო რეჟიმები და დაუბეგრავი მეწარმეობის განხორციელების შესაძლებლობა იზიდავს და, უნდა ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში ასეთი ზონები ეკონომიკური აყვავების ჩანასახებად იქცა, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელ რიგ ქვეყანაში, ასევე ისეთ დიდ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ინდოეთი თუ ჩინეთი.*

*მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ ტიპის ზონების შექმნის გზა საქართველოს მთავრობამაც აირჩია, თუმცა გადაწყვეტილების მიღებამდე ეკონომიკურ წრეებში საკმაოდ გაცხოველებული პოლემიკა იყო ამ წამოწყების პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე.*



# ვითარ რაკრაკებს რაკ-ბიზნესი ქართველთ ქვეყანაში

სადღეისოდ საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ფოთსა და ქუთაისში უნდა გაშენდეს, რომელთაგან უფრო დიდი ფოთის ზონაა, რომლის მშენებლობა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთმა უმძლავრესმა რაკ ჯგუფმა 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყო. რაკ ჯგუფმა საქართველოში ოპერირება მანამდე ორი წლით ადრე წამოიწყო და ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი უმსხვილესი უცხოელი ინვესტორია, რომლის ინტერესთა სფეროში ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის **(თიზ)** გარდა, ასევე იქაური სატვირთო ნავსადგურისა და ტურისტული და სასტუმრო ინფრასტრუქტურების განვითარებაა.

ფოთის **თიზ**-ი ნავსადგურის მიმდებარე 300 ჰექტარის ფართობზე შენდება, სადაც ამჟამად გაყვანილია გზები, სათანადო კომუნიკაციები, ასევე ინვესტორთათვის საჭირო ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასაწყობე შენობებით, აგებულია სატვირთო თუ მსუბუქი ავტომანქანებისთვის და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი დერეფნებით აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბაჟო-გამტარი პუნქტი.

**ფოთის თავისუფალი ინდუსტრიის ზონაში ოპერირების ლიცენზია ამჟამად უკვე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და უკრაინის 17 კომპანიას აქვს, თანაც ვარაუდობენ, რომ შემოდგომაზე მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდება.**

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფოთის **თიზ**-ის ინვესტორთათვის მიმზიდველობას პირველ ყოვლისა, მისი ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა განაპირობებს, რასაც დიდი სატვირთო ნავსადგურის, არსებული სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო კომუნიკაციები, ასევე იქ მოქმედი შეღავათიანი საკანონმდებლო სისტემა განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც ამ მხარეში მოსახლეობის დასაქმებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ მომძლავრებას.

თავისთავად, ფოთის სატვირთო-სავაჭრო ნავსადგურს ყოველთვის წამყვანი ადგილი ეკავა, იყო მუდამ იყო საქართველოში საზღვაო ტვირთბრუნვის ფლაგმანი, მაგრამ აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი საწარმო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ მის განვითარებაში რაკ ჯგუფმა სერიოზული ინვესტიციები განახორციელა, თანაც პარალელურად მიმდინარეობს ახალი სატვირთო ნავსადგურის საპროექტო სამუშაოები. დადგენილი გეგმის თანახმად, შემოდგომის შუაში ახალი საკონტეინერო ტერმინალი უნდა ამოქმედდეს, რომლის საპროექტო წარმადობა წელიწადში დაახლოებით 100 ათასი კონტეინერი იქნება. გარდა ამისა, გაიხსნება მეორე საბაჟო-გამტარი პუნქტი, რომელიც ერთდროულად ასზე მეტ კაცს მოემსახურება, რაც საგრძნობლად გააიოლებს ტვირთების განბაჟების პროცედურას. ყველაფერთან ერთად, სამ წელიწადში ფოთის აეროპორტის ბაზაზე ახალი საერთაშორისო აეროპორტი აშენდება, რომლის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები უახლოეს დროში დაიწყება.

საქართველოში რაკ ჯგუფის მოღვაწეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, რის დასტური „რაკ აგრიქალჩის“ მიერ სოფელ მუხროვანში 900-ზე მეტი ჰექტარის სავარგულების შეძენაა, სადაც უკვე სამი წელია მარცვლეული მოჰყავთ, ასევე გაშენებულია სათევზე და საფუტკრე მეურნეობები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რაკ ჯგუფში შემავალ სასურსათო კომპანია „დილის პროდუქტს“ ქათმის ხორცისა და კვერცხის შიდა ბაზარზე სოლიდური სეგმენტი უკავია. გარდა წმინდა მწარმოებლური საქმიანობისა, რაკ ჯგუფის სავარგულების მეზობლად საქართველოსთვის ერთობ ეგზოტიკური სპორტის სახეობის, გოლფის მოედნის მშენებლობას „რაკიინ დეველოპმენტის“ დაკვეთით მსოფლიოში ცნობილი შვეიცარიული კომპანია „ჰარადინ გოლფი“ ახორციელებს, რომლის დასრულებისთვის, მომავალი წლის მიწურულისთვის, ირგვლივ სოლიდური ტურისტული კომპლექსიც ამოქმედდება.

სამი წელია თბილისში სანტექნიკური დანიშნულების პროდუქციას, ასევე ფაიფურის ჭურჭელსა და კერამიკულ ფილებს რაკ ჯგუფის კიდევ ერთი შვილეული კომპანია „რაკ კერამიქსი“ აწარმოებს, რომელსაც თავის სფეროში მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციები უკავია, რასაც მისი პროდუქციის 135 ქვეყანაში მტკიცედ დამკვიდრებული პოზიციები მოწმობს.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე აღნიშნულის შესახებ? თავისთავად, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ამჟამად მსოფლიოში მძვინვარე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომლის პიკი, მთელი რიგი ექსპერტის აზრით, მართალია, გავლილია, რასაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთგვარი გამოცოცხლება მოწმობს, ქვეყანაში ნებისმიერი, თუნდაც არც თუ დიდი მოცულობის ინვესტიციის განთავსება უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიკური მოვლენაა. ამ მხრივ არაბეთის გაერთიანებული საემიროები საქართველოში ერთ-ერთი სოლიდური ინვესტორია, რასაც, ბუნებრივია, მივესალმებით, მაგრამ ისიც ხომ არის გასათვალისწინებელი, რომ საკუთარი ბიზნესის შემოსავალს (დამატებით ინვესტიციებსაც რომ დავანებოთ თავიძ, ფულის დამბანდებელი, ამ შემთხვევაში რაკ ჯგუფი, ქვეყნიდან გაიტანს. ამასობაში კი ჩვენ თავადვე საბიუჯეტო სახსრებს, რბილად რომ ვთქვათ, უყირათოდ ვხარჯავთ, რასაც აშკარად მოწმობს ათასგვარი სხვადასხვა სახეობის ყოველგვარ აზრს მოკლებული ხარჯი, რომელთა ჩამოთვლას, ჩვენი ღრმა რწმენით, არავითარი აზრი არა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მათ შესახებ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ მშვენივრად იცის. სხვა საქმეა, რომ ზოგს ეს ამბავი დიდად მოსწონს, უმრავლესობისთვის კი სოციალური ყოფის გაუსაძლისი პირობების კიდევ უფრო მეტად დამძიმებას ნიშნავს. ამდენად, იქნებ იმაზეც იზრუნონ მათ, ვისაც ჯერ არს, რომ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი სამეწარმეო პროექტების განხორციელებაში ჩვენ თავადვე მივიღოთ მონაწილეობა თუნდაც იმ ფარგლებში, რის საშულებას საბიუჯეტო სახსრები მოგვცემს, თორემ ასე გამუდმებით სხვის ხელებში ცქერა სამომავლოდ კარგს ბევრს არ გვიქადის და საკამათო და სადავო არც ეს არის.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ლეიბორისტების პროტესტი

# პედაგოგებს ხელაღებით ათავისუფლებენ

**ნაციონალური მოძრაობის ალზევების დროიდან, განათლების სამინისტრომაც მრავალი ცვლილება განიცადა. 2003 წლიდან მოყოლებული ოთხი მინისტრი გამოვიცვალეთ. ცვლილებები და სიახლე კარგია, მაგრამ ეს ცვლილებები ყველასათვის სასიკეთო როდია. ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ სკოლებიდან მასწავლებელთა გათავისუფლების შესახებ, მიზეზებს რატომღაც არ აკონკრეტებენ. სწორედ ამ თემაზე ჩაატარეს ბრიფინგი ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ და პედაგოგთა დაცვის კომიტეტმა.**

**კახაბერ ძაგანია:** „მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს განათლების სისტემა ხელში ჩაუგდო სოროსს, დაიწყო ქართველ პედაგოგთა გათავისუფლება, ბოლო პერიოდში კი ეს პროცესი უფრო გააქტიურებულია. დღეს აქ იმყოფებიან 24-ე სკოლის ღვაწლმოსილი პადეგოგები: ნათელა მირიანაშვილი და ადელი ერაგია, რომლებიც სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვეს. ლეიბორისტული პარტია დაიცავს ამ პედაგოგების უფლებებს სასამართლოში, ეს არის დამსახურებული პედაგოგების მიმართ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან სამარცხვინო საქციელი.



**ნათელა მირიანაშვილი:** „დირექტორმა იმის ღირსადაც კი არ მიგვიჩნია, გათავისუფლების თაობაზე პირადად მოეხსენებინა ჩვენთვის და ეს ამბავი კორიდორში არ გაგვეგო. დამამცირებელია ასეთი მოპყრობა. როდესაც სკოლის დირექტორს გია მურღულიას ვკითხეთ, თუ რა მიზეზით გვათავისუფლებდა, გაზეპირებული სიტყვებით გვიპასუხა, რომ ეს საკითხი სექტემბერში გადაწყდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ სამსახურიდან უკვე გათავისუფლებული ვართ“.

**ადელი ერაგია:** „ჩვენი სკოლიდან 8 პედაგოგი გაათავისუფლეს. თურმე გია მურღულიას არ აკმაყოფილებს გაკვეთილების ხარისხი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ის ჩვენს გაკვეთილებს არც დასწრებია... მას ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები არ აქვს, და თუ ჩვენ უხარისხოდ ვატარებთ გაკვეთილებს, დამადასტურებელი დოკუმენტები სასამართლოში წარმოადგინოს, — დასძინა ადელი ერაგიამ.

**მერი ქურასბედიანი**

## სიტყვა ერის გასაგონად!

# „ენა მდიდარი, თქვენს ხელში მკვდარი...“

**კრიზისი, გაჭირვება, უბედურება ერის სულიერი და მატერიალური ყოფის ყველა სფეროში აისახება და მათ შორის ენაშიც: ენაც კნინდება, ლატაკდება, როგორც ილია იტყოდა, „გათახსირებისა და გადაგვარების გზას ადგება“. ერისა და ენის „დაცემის“ ეს თანამდევი პროცესი პოეზიაშიც აისახა („ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“) და პუბლიცისტიკაშიც („ზოგიერთი რამ“). აქ იგი წერს:**

**„განვიმეორებ, განვთვითეულდით და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასთვის ერთად ადვილად საზიდია. თვითოეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა...**

**მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა... რაკი გონებით ცხოვრებას გადავეჩვიეთ, ამიტომ პირუტყვბუნების მსგავსი სიტყვებით აივსო ჩვენი ენა, მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, ჭრიალი, გრიალი, ღრიალი... ჟრუტუნი, ფრუტუნი, ღრუტუნი, წრუტუნი, სრუტუნი...“**

კაცის სიცოცხლე (და ერისაცძ ენით იწყება, ის მთავარი მეგზური და მასაზრდოებელია ეროვნული მეობისაც და თვითმყოფადობისაც. მშობლიური ენა, დედა-ენა, ასაზრდოებს ყოველივე ამას და თანაც ისეთი ენა, რომელშიც „მრავალი საიდუმლო არს დაფლული“ და რომელიც, თუ ჰეგელს ვერწმუნებით, „აბსოლუტური სულის თვითშემეცნების საშუალებაა“. და დღეს რას ვხედავთ — ყველა ენას პატივი და ყურადღება არ აკლია, გარდა ქართულისა. გვეუბნებიან — ინგლისური ენა პირველი კლასიდან უნდა დაინერგოსო ჩვენში. კარგი და პატიოსანი, „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“, მაგრამ ნუთუ 5 წლის ბავშვის გონება და აზროვნება ისეა განვითარებული, რომ უცბადვე მოვწყვიტოთ მშობლიურ ენას და უცხო ენაზე გადავრთოთ იგი? გავიხსენოთ ჩვენი დიდი ერისკაცი ივანე ჯავახიშვილი — როგორ ჩიოდა იგი, რომ მშობლებმა ბავშვობიდანვე რუსულ ენაზე გადაიყვანეს: რუსულად ვაზროვნებ, ვალაგებ წინადადებებს და მერე ქართულად ვთარგმნი, ასე ვიტანჯები მთელი ცხოვრებაო...

ბატონებო, ნუ გავაკეთებთ ისე, რომ ჩვენი შემდგომი თაობების გონებითი და სულიერი ცხოვრება თავიდანვე მოვწყვიტოთ მშობლიურ ფესვებს. ასე მათ აკაკის „ღამურას“ დავამსგავსებთ. ეს მომაკვდინებელი საფრთხეა ნებისმიერი პატარა ერისთვის. ეს საფრთხე ამ 800 წლის მანძილზე დამოკლეს მახვილივით არის აღმართული ჩვენს თავზე. „ძნელბედობა“ კი კვლავ გრძელდება და გლობალიზმის ეპოქაში მეტი გაფრთხილება უნდა ჩვენს ეროვნულ ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს. სხვანაირად თანდათანობით ამოშრება და ამოხმება ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც... ნუ გავაკეთებთ იმას, რომ გლობალიზმის პირველი მსხვერპლი მაინცდამაინც ჩვენ გავხდეთ...

**ელბერტ ბატიაშვილი**
**ქ. სიღნაღი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის ლიდერი ვენესუელასთან უფრო მჭიდრო კავშირებისკენ მისწრაფვის და შეერთებული შტატების კრიტიკას უარყოფს

**ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს სეპარატისტული რეგიონის ლიდერმა პარასკევს განაცხადა, რომ ის ვენესუელასთან ახლო ურთიერთობებს აყალიბებს და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საერთაშორისო აღიარების საქმეში პრეზიდენტ უგო ჩავესის დახმარების იმედი აქვს**

ვენესუელა ერთ-ერთია იმ ოთხ ქვეყანას შორის (რუსეთის, ნიკარაგუას და წყნარი ოკეანის კუნძულის ნაურუს გარდაძ, რომლებმაც აფხაზეთის სუვერენიტეტი აღიარეს.

აფხაზეთის ლიდერის თქმით, ჩინოვნიკები ვენესუელასთან თანამშრომლობის ათობით პოტენციურ ხელშეკრულებაზე მუშაობენ, მათ შორის ვაჭრობის გაფართოების შეთანხმებებსა და ვენესუელის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მხრიდან ტექნიკური მხარდაჭერის მიღებაზე აფხაზეთში ნავთობის მოძიების საქმეში ჩართვაზე.

ბაღაფშმა თქვა, რომ ის დაელაპარაკება ჩავესს ვენესუელის მხრიდან შესაძლო დახმარებაზე, რომ ლათინური ამერიკის მთავრობებმა აფხაზეთი აღიარონ, მაგრამ, მისი თქმით, ეს იოლი არ იქნება, რადგან შეერთებული შტატები რეგიონს ცალკე ქვეყნად არ განიხილავს.

„ჩვენ გვესმის, რომ აღიარება ხანგრძლივი და რთული პროცესია და ისიც გვესმის, რომ შეერთებულ შტატებს რეგიონში მეტი გავლენა აქვს“, – განაცხადა ბაღაფშმა Associated Press-სთან ინტერვიუში.

რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღიარა და იქ არმიაც დატოვა.

ბაღაფში ამბობს, რომ აფხაზეთში 1 800 რუსი ჯარისკაცია და ისინი საზღვრის დაცვაში ეხმარებიან. ის ამტკიცებს, რომ მათი იქ ყოფნა არსებითად უმნიშვნელოა. საქართველო და ბევრი დასავლური ქვეყანა სამხედროების იქ ყოფნას რუსეთის ოკუპაციას უწოდებდნენ.

ბაღაფში კარაკასში სამხრეთ ოსეთის ლიდერთან ედუარდ კოკოითთან ერთად იმყოფებოდა. პარასკევ საღამოს ეს ორი ლიდერი ჩავესს შეხვდა, რომელიც მათ სამშობლოს უწოდებს „ახალ რესპუბლიკებს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საკუთარი განვითარებისთვის“.



ჩავესთან შეხვედრამდე, ბაღაფში მიესალმა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ კოსოვოს მხრიდან სერბეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადება არ იყო საერთაშორისო სამართლის დარღვევა და განაცხადა, რომ ეს იმის ნიშანია, რომ აფხაზეთის მხრიდან სუვერენიტეტის მოთხოვნა ლეგიტიმურია.

„ვფიქრობ თავად ამ გადაწყვეტილებას ექნება უდიდესი გავლენა ჩვენს ძალისხმევაზე“, – თქვა ბაღაფშმა, რომელიც თარჯიმნის დახმარებით საუბრობდა, – „აქ არ შეიძლება ორმაგი სტანდარტები არსებობდეს“.

ის ასევე არ ეთანხმება შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს.

„ის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკოსია იმისთვის, რომ არ იცოდეს, თუ რას ნიშნავს ოკუპაცია“, – განაცხადა მან.

**კრისტოფერ თუთაკერი**

Associated Press

---

**პოლიტიკური ბრძოლა სამხრეთ ოსეთში მწვავდება. შაბათს ადგილობრივი პარლამენტის ჯგუფმა მხეცურად სცემა თემურ ცხოვრებოვს – წარსულში გავლენიან საველე მეთაურს, ამჟამად კი რესპუბლიკაში ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის „XXI საუკუნეს“ მთავარ რედაქტორს. თავდასხმის საბაბი გახდა ჟურნალისტის სურვილი, დაემყარებინა დიალოგი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან. სხვათა შორის, ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ რეალური მიზეზი გახდა ბატონ ცხოვრებოვის მიერ პარტია „ირონის“ შექმნა**

## „ყვიროდნენ, რომ მე გამყიდველი ვარ, ვინაიდან ქართველებთან რაღაც დოკუმენტს მოვაწერე ხელი“

თემურ ცხოვრებოვს შაბათს დღისით ქალაქ ცხინვალში დაესხნენ თავს. როგორც მან ტელეფონით საავადმყოფოდან გვაცნობა, მას თავს დაესხა დაახლოებით 10 კაცი. მათ შორის რესპუბლიკის პარლამენტის სამი დეპუტატი იყო – კაზიმირ პლიევი, დიმიტრი ვანეევი, ალან ხასიევი. ისინი შეეცადნენ მანქანაში ჩაეტენათ თემურ ცხოვრებოვი, ხოლო როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია, დაიწყეს მისი ცემა. მახლობლად მდგარი მილიცია გულგრილად უმზერდა ხალხის რჩეულების მოქმედებას. როდესაც თავდამსხმელებისაგან თავის დაღწევა მოახერხა, თემურ ცხოვრებოვმა მიირბინა წითელი ჯვრის ოფისამდე და ლობეზე გადაძვრა. მისი სიტყვებით, იმ მომენტში კაზიმირ პლიევმა, რომელიც პროპრეზიდენტურ „სახალხო პარტიას“ უდგას სათავეში, დააძრო პისტოლეტი და მოკვლით ემუქრებოდა მას, მაგრამ სროლა ვერ გაბედა. წითელი ჯვრის შენობიდან დაზარალებული წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ამჟამადაც იმყოფება. თემურ ცხოვრებოვს მოტეხილი აქვს თითი, დანით მიყენებულია ჭრილობა კისერზე და გახეთქილია ტუჩი.

როგორც თემურ ცხოვრებოვმა გვაცნობა, მასზე თავდასხმის საბაბი ლეიდენში ქართველ-ოსთა ფორუმის ამასწინანდელი სხდომა გახდა. ეს ადგილი გახდა სადისკუსიო მოედანი საქართველოს და სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომელიც მოაწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „პაქს ჩრისტი“. ფორუმის სხდომაზე 16 ივლისს მიიღეს მიმართვა ჟენევის დისკუსიის მონაწილეებისადმი (საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც შეიქმნა საქართველოში ომის შემდეგძ. ავტორები მოითხოვენ დაუშვან სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ორგანიზაციები, უზრუნველყონ გადაადგილების თავისუფლება სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე, აგრეთვე დააბრუნონ მძევლები. დოკუმენტს ხელი მოაწერა 22 კაცმა, მათ შორის თემურ ცხოვრებოვმაც. „თავდამხსმელები ყვიროდნენ, რომ მე გამყიდველი ვარ, ვინაიდან ქართველებთან რაღაც დოკუმენტს მოვაწერე ხელი“, – გვითხრა მან.

ლეიდენში მიღებულმა მიმართვამ ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია, ადგილობრივი ტელევიზიით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კონფლიქტისშემდგომი მოწესრიგების საკითხში ბორის ჩოჩიევი, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს გამყიდველები უწოდა, თავად დიალოგის ფაქტს საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასთან კი – „სილის გაწვნა თითოეული ოსისათვის“. გამოსვლის დასასრულს ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ეს საკითხი უნდა შეისწავლონ შესაბამისმა ორგანოებმა. შედეგად 2 დღის შემდეგ ამ საკითხით დაინტერესდნენ ხელისუფლებისადმი ლოიალური დეპუტატები.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ თემურ ცხოვრებოვის ცემის მთავარი მიზეზი გახდა მისი პოლიტიკური საქმიანობა. ბატონი ცხოვრებოვი არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება რესპუბლიკაში, საქართველოსთან პირველი ომისდროინდელი საველე მეთაური. ის იცავდა რესპუბლიკას 2008 წლის აგვისტოშიც. ამ ცოტა ხნის წინათ იყო რესპუბლიკაში ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის „XXI საუკუნე“ რედაქტორი, მაგრამ 2009 წლის ბოლოს მან ჩამოაყალიბა პარტია „ირონი“ („ოსეთი“ძ. 22 მაისს პარტიამ გამართა პირველი დამფუძნებელი ყრილობა. როგორც თემურ ცხოვრებოვმა გვაცნობა, მან და მისმა თანამებრძოლებმა (ძირითადად ასევე საქართველო-ოსეთის ომის ვეტერანებმაძ მოამზადეს დოკუმენტების პაკეტი პარტიის რეგისტრაციისათვის იუსტიციის სამინისტროში და აპირებდნენ მუშაობის გააქტიურებას.

„ირონის“ წევრები თავიანთ თავს ოპოზიციას არ მიაკუთვნებენ, მაგრამ პარტიის პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი გახდა წესრიგის დამყარება აღდგენის სფეროში – მიუხედავად რუსეთის ფედერაციის მიერ ბიუჯეტისთვის გამოყოფილი კოლოსალური თანხებისა ომის შემდეგ 2 წლის შემდეგ საცხოვრებელი სახლები დღემდე აღუდგენელია. „რესპუბლიკაში უკიდურესად დაძაბული სიტუაციის გათვალისწინებით, ხელისუფლება დიდი შიშით უმზერს ახალ პოლიტიკურ პარტიებს. მით უმეტეს ისეთებს, რომლებსაც სათავეში უდგანან ავტორიტეტული პირები“, – გვითხრა ექსპერტმა სამხრეთ ოსეთის საკითხებში, სამართალდამცველმა ვარვარა პახომენკომ.

თემურ ცხოვრებოვის თანამებრძოლებმა პარტია „ირონიდან“ ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტეს, რა რეაგირება მოახდინონ მომხდარ ამბავთან დაკავშირებით. „ირონის“ აქტივისტმა, სამართალდამცველმა ბესარიონ ასიევმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ცხინვალში გაიმართა მიტინგი მოთხოვნით, ჩამოერთვას დეპუტატობის სტატუსი ბატონი ცხოვრებოვის ცემაში მიღებულ მონაწილეებს. თუმცა, ჩვენი იმ წყაროს სიტყვებით, რომელიც ახლოსაა სამხრეთ ოსეთის უშიშროების კომიტეტთან, ინციდენტს არავითარი ზემოქმედება არ მოჰყვება. „მათ მთლიანად უჭერს მხარს საზოგადოებრივი აზრი, მით უმეტეს, რომ იქ იყვნენ საყოველთაო-სახალხოდ არჩეული დეპუტატები“, – ამბობს იგი. ფონდ „სამოქალაქო ინიციატივის“ ხელმძღვანელი, სამხრეთ ოსეთის ექს-პრემიერი ოლეგ თეზიევი ასევე დარწმუნებულია, რომ დამნაშავეებს არ დასჯიან. „ედუარდ კოკოითი ამჟამად ემზადება გადააქციოს სამხრეთ ოსეთი საპარლამენტო რესპუბლიკად და არ მოინდომებს თავისი ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე გაიუარესოს ურთიერთობა დეპუტატებთან, მით უმეტეს ისეთებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საპარლამენტო ფრაქციებს“, – განგვიმარტა მან.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ჯერჯერობით ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს ინციდენტს. გენერალურმა პროკურორმა თეიმურაზ ხუგაევმა ჩვენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში არ იმყოფება და ამიტომ ვერაფრის კომენტირებას ვერ მოახდენს. შინაგან საქმეთა სამინისტროს და პარლამენტის, აგრეთვე საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებიც 25 ივლისს მიუწვდომელი აღმოჩნდნენ კომენტარებისთვის. ამ დღეს კაზიმირ პლიევის მობილური ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში არ პასუხობდა.

**ალექსანდრ გაბუევი, ზაურ ფარნიევი**

Коммерсантъ

### დედამიწის ზურგზე



**ინდოეთმა წარმატებით გამოსცადა რაკეტა, რომელიც ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საფუძველი გახდება**

რაკეტას შეუძლია გაანადგუროს მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების ქობინები და წარმოადგენს ერთ-ერთი რაკეტის მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელიც მიზნად ისახავს ობიექტების გადატაცებას და განადგურებას 30 კილომეტრის სიმაღლეზე. ინდოეთის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბება გათვალისწინებულია 2015 წლისთვის.

* * *

**ახალ ზელანდიაში მოზარდი, რომელიც მე-16 სართულიდან ჩამოვარდა, გადარჩა**

ბიჭი აივანზე თამაშობდა, რის შემდეგაც იქიდან ჩამოვარდა, ჩაანგრია ლითონის ფირფიტებისგან გადახურული გარაჟი და ბეტონზე დაეცა. ის მოფრინავდა 40-დან 50 მეტრამდე. თვითმხილველების სიტყვებით, დაცემის ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ეგონათ 2 ავტომობილი შეეჯახა ერთმანეთს.

* * *

**უგო ჩავესმა კუბაში ვიზიტი გადადო**

თავისი გადაწყვეტილება ვენესუელის ლიდერმა განმარტა კოლუმბიის ტერიტორიიდან „შესაძლო სამხედრო აგრესიით“. მისი აზრით, შესაძლებელ აქციას კოლუმბიის მხრიდან მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები. ჩავესმა გააფრთხილა, ვისაც ეს ეხებოდა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში კარაკასი დაუყოვნებლივ შეუწყვეტს ნავთობის მიწოდებას შეერთებულ შტატებს.

* * *



**ავღანეთში ნატოს ბომბებით დაიღუპა 45 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვებიც**

ინციდენტი მოხდა 23 ივლისს სამხრეთ პროვინცია გილმენდში. ოფიციალური მონაცემებით, თალიბები, რომლებიც თავს დაესხნენ ნატოს პატრულს, ერთ-ერთ ადგილობრივ სოფელში მიიმალნენ, სამხედროებმა კი უპასუხეს ცეცხლით ჰაერიდან. პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ შექმნა სპეციალური კომისია ამ არაპირველი „შეცდომის“ გამოსაძიებლად.

* * *

**კანადაში ტყის ხანძრები მძვინვარებს**

პროვინცია ალბერტის ჩრდილოეთში იწვის დაახლოებით 1800 ჰექტარი ტყე. ხანძრის მიზეზი გახდა ელვა. სულ ხანძრის ზონიდან 13 კილომეტრში მიმდინარეობს ნავთობის ქვიშის დიდი დამუშავება. კიდევ ერთი ძლიერი ხანძარი (600 ჰექტარის ფართობზე) მძვინვარებს ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში.



◉ წინადადება

# „არიქა, მიშველეთ, ხიდი ჩავშალოთ!“

**მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ ცოტა „ფანდურა“ ხალხი ვართ ქართველები. ისტორიასაც კი ისე ვუყურებთ, გეგონება, მომავალში მოსახდენი ამბავი იყოს! შეიძლება, სრულიად ღირსეულად ვაღიაროთ რომელიმე ისტორიული გმირი, მაგრამ იქვე, განზე „გავწევთ“ მეორეს, არანაკლებ დამსახურებულს. ხშირად ისიც „გვემართება“, რომ სხვა ეროვნელის წარმომადგენლის გმირობას ვივიწყებთ ხოლმე, არადა მათაც დიდი სამსახური გაუწევიათ ჩვენი სამშობლოსათვის!**

რა დააშავა ვითომ იმ კაცმა, ვინც ცოტნე დადიანის გმირობა შეიგრძნო და დააფასა? ან, ალამუთის ციხესთან სამი ათას ქართველს სიცოცხლე შეუნარჩუნა თავისი ერთადერთი წინადადებით – „მე მომკალი ბაღათარ!“ – და თვითონ კი თავი ხმალს შეუშვირა? სამწუხაროდ, სახელიც კი არ ვიცით იმ სპარსისა!..

კაი, ბატონო, დავანებოთ თავი ისეთებს, რომელთა სახელები არ ვიცით, მაგრამ იმათი სადღეგრძელო მაინც ვთქვათ, ვისიც ვიცით და ჩვენს კლასიკოსებსაც ჰყავთ მოხსენიებული თავიანთ ნაწერებში!

თუმცაღა, ნამეტანი გამკვირვებია იაკობ გოგებაშვილისა! ამ დიდებულ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ასევე დიდებული ნარკვევი აქვს მიძღვნილი ქართველი წმინდანის, თევდორე მღვდლისთვის, მაგრამ სხვამაც ხომ ჩაიდინა თევდორეს საქციელს მიმსგავსებული გმირობა, იმავე დღეს? და იმ „სხვამ“ რა დააშავა, გოგებაშვილს მხოლოდ ერთგან რომ აქვს მოხსენიებული მისი გვარი, დღეს კი არავის რომ არ ახსოვს ამ გმირის ვინაობა?

...თუმცა, რაღა მე გიყვებით? უკეთესია თვითონ გოგებაშვილი წავიკითხოთ:

„...თათრებმა პირი დასავლეთისკენ ჰქნეს, უნდოდათ სწრაფად მისდგომოდნენ გორსა. გასულიყვნენ ხიდზე, რომელიც იდო მტკვარზე ხიდისთავსა და გორს შუა, აეღოთ გორი, აეკლოთ და დაეჭრათ ამ ქალაქის ციხე, ჩაეყენებინათ შიგ თავისი ჯარი და შემდეგ შესდგომოდნენ მთელი საქართველოს დაპყრობასა. გიორგი სააკაძე ძლიერ ცდილობდა, როგორმე დაეწინაურებინა ერთი გუნდი ქართული ჯარი, რომ მას წინ ეყელა თათრებისათვის და გორის ხიდი ჩაეშალა; მაგრამ მტერი, აბა, ამის ნებას რად მისცემდა? გარნა აქაც ხელი შეუშალა თათრებს მეორე სასულიერო პირმა... (პირველი იყო თევდორე. – **ზ. ფ.**) .

...და, საქართველოს ამ მეტად კრიტიკულ ჟამს (– **ზ. ფ.**) – „თათრების შემოსევაზე გორში სრულიად არაფერი იცოდნენ, ისე მოულოდნელი იყო ეს შემოსევა. ამიტომ გორიდან არხეინად მოდიოდა ცხენით სომხის მღვდელი სააკაშვილი სოფელ დოისში, სადაც ქართველებთან სომხებიც ცხოვრობდნენ და მიწერილნი იყვნენ გორის მრევლზე, როცა სააკაშვილი ავიდა ზედა ველის მაღლობ მინდორზე, საშინელი სანახავი გადაეშალა თვალწინ. თითქმის მთელი ვეებერთელა ვაკე მთებსა და მტკვარს შუა მჭიდროდ იყო დაჭერილი თათრის ჯარითა. ელდანაცემმა მღვდელმა ფიცხლავ ცხენი უკან გამოაბრუნა, ჰკრა დეზი და გააჭენა უკან გორისაკენ. მიიჭრა ხიდთან, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და დაიძახა: „არიქა, მიშველეთ, ხიდი ჩავშალოთ, აგერ, მტრის ჯარი მოდისო!“ და თანაც ხელი მიჰყო ხიდის ჩაფუშვასა. ბედადა იქვე შეესწრნენ ხიდისთაველი გლეხები. ესენიც მისცვივდნენ ხიდსა და დაუწყეს საჩქაროდ ჩაშლა. როცა პატარა ხანს უკან თათრები ხიდს მიუახლოვდნენ, ხიდი ჩაფუშული დახვდათ და ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. უხიდოდ გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან მტკვარი ადიდებული მოდიოდა... უკან თბილისისაკენ, ვერ დაბრუნებოდნენ, რადგანაც ზურგთ უკან მათ ედგათ გიორგი სააკაძე თავისი ჯარითა და საქმეს უჭირებდა.

რა უნდა ექნათ? მეტი ღონე არ იყო, საქართველოს დაპყრობაზე ხელი უნდა აეღოთ და თავი როგორმე დაეღწიათ. მაგრამ ისინი სააკაძესა და ქართველებს არ იცნობდნენ ჯერ კარგადა! თათრები ერთი ოთხად მეტნი იყვნენ ქართველებზედა, მაგრამ მაინც საშინლად დამარცხდნენ. ამდენი ჯარიდან გადარჩა მხოლოდ თორმეტი კაცი და თავს უშველა, რათა სამშობლოში მიეტანა საზარელი ამბავი...

ასეთი უდიდესი სიკეთე შესძინა სამშობლოს თევდორე მღვდელმა!.. დიახ თევდორე მღვდელმა თავის თავზე აიცხადა დიდებული რუსთაველის ლექსი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“

კარგი, ბატონო, ქართველი ხალხი დღესაც უდიდეს პატივს მიაგებს თევდორე მღვდელს, მაგრამ სადაა სომხის მღვდელი სააკაშვილი?, თითქმის არავის ახსოვს! არადა, მართალია, მას სიცოცხლე არ შეუწირავს ჩვენი სამშობლოს ერთიანობისათვის, მაგრამ გორი ხომ გადაარჩინა? ამიტომ ჩვენი მთავრობისა და ხალხის წინაშე შემოვდივარ წინადადებით: – ქალაქ გორში, დაიდგას სააკაშვილის ძეგლი! მით უფრო რომ ადგილი გამონთავისუფლებულია სტალინის პედესტალზე!

ეს, ერთგვარად, სიმბოლურიც იქნება!, ჩვენ ხომ სულ ახლახანაც გადავიხადეთ გმირული ბრძოლები გორთან!..

ასე მაინც მივაგოთ პატივი ჩვენს აქამდე უჩინარ გმირებს თუ, „ჩინებულ“ გმირს, სააკაშვილს!

**ზაალ ფილფანი**

◉ შვილიშვილის მოგონება

***ზოგიერთი** ბედოვლათი თუ ვაიისტორიკოსი (ასეთი კი ადრეც ბევრი იყო და ახლა ხომ – მით უფრო) წავა-წამოვა და რაღაც პრეტენზიებს წამოაყენებს ერეკლე II-ის მიმართ. აქ შეცდაო, აქ ზავი არ უნდა დაედო, აქ არ უნდა ეომა, სხვა მოკავშირეები უნდა ეძებნა, საკუთარ ოჯახში წესრიგი ვერ დაამყარაო და ა. შ. მთავარს კი არ ითვალისწინებენ: მას ხომ მთელ ნახევარ მსოფლიოსთან უხდებოდა ბრძოლა, ისე, რომ ხეირიანი მოკავშირე არა და არ გამოუჩნდა. დიახ, ბატონო, სახელი დიდი ჰქონდა, საყოველთაო აღიარება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის მხრიდან, მაგრამ საბოლოო შედეგი ხომ თავიდანვე ნათელი იყო, რაც უნდა გაეკეთებინა, უიმედო მდგომარეობას მაინც ვერ იხსნიდა.*

როცა ერეკლე II-ის საქმიანობაზეა ლაპარაკი, აქ უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი შვილიშვილის, შესანიშნავი ისტორიკოსისა და მწერლის **ალექსანდრე ორბელიანის** მიერ დატოვებულ ცნობებს. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე წერდა სახელოვანი პაპის შესახებ, ბევრი რამ ერეკლეს თანამედროვე ისტორიკოსებისგან (პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე) იცოდა, უფრო მეტი საკუთარი დედის, ცნობილი „თეკლა-ბიჭის“ – თეკლე ბატონიშვილისაგან, რომელსაც მამა პირდაპირ აღმერთებდა. აი, რაც შეეხება მოვლენების ზუსტ ანალიზს, ამის უნარი ალექსანდრე ორბელიანს ყოველთვის ჰქონდა. ამას დიდი განათლებაც ემატებოდა.

ალექსანდრე ორბელიანმა ბევრი რამ შემოგვინახა დიდი პაპის შესახებ. პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელ თხზულებებში, რომელთა ჩამოთვლა ნამდვილად არ გვაწყენს: „ბატონიშვილ ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“, „მეფე ირაკლი მეორის ისტორიაზედ“, „მეფე ირაკლის პატარა ჯიბის ბოხჩა“, „მეფის ირაკლის მეორე მეუღლე დარია, ანუ დარეჯან“, „მეფის ირაკლი მეორის დროის ცოტ-ცოტა ამბები, ანუ ზოგიერთნი მაშინდელნი პირნი“, „ნაწყვეტები“, „პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორისა“, „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, „შეთქმა მეფე ირაკლის მეორეზე საქართველოში“, „ხუთი წლის ბატონიშვილი ირაკლი“ და სხვები. ყველაფერი ეს რომ გავაერთიანოთ, კარგა მოზრდილი ტომი გამოვა და აბა, წასაკითხი ის იქნება, თუ იქნება!

ალექსანდრე ორბელიანი წერდა: „პირველი ამბავი მეფის ირაკლის მეორესი. თვით მეფის ირაკლის თქმულსა ვიტყვი ამის სიტყვათ.

„ჩემს სიყმაწვილეში ასეთი საშინელი ამბავი მოხდა საქართველოში, მეტი აღარ შეიძლება. მე ამას გულის წმინდით აღვიარებ ჩემს ცოლშვილში. თუ მე არ მოვსწრებოდი, ერთ ქართველსაც ველარ ვიპოვიდით, სულ გათათრდებოდნენ.

თავი რომ ვიცანი, საქართველოს თვალი გადავავლე, ვნახე სამხრითი ოხრდებოდა; მთელი ქართლი ციხეებში და სიმაგრეებში იდგნენ. ქიზიყ და გაღმა მხარის კახელები სულერთიან გალეკებულიყვნენ თავადაზნაურობის გარდა. აქეთი კახელებიც თითქმის გალეკებას აპირებდნენ. თუ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ეკლესიაში შეგიმცნევიათ, ამბიონის მახლობლად, ერთ საფლავზე მარმარილოს ქვა არის დამტვრეული, რომლისაცა მიზეზი დამტვრევისა ეს არის. ზოგიერთ

## მეფე ერეკლემ თითქმის სამოცდასამი წელიწადი იქნია ხმალი ოთხივ კუთხივ...

კახელებს პირობა მიეცათ ლეკებისათვის: ქართლში წავალთ, ვეცდებით ქართლელების გალეკებასაო. მცხეთაში რომ მოსულან და ეკლესიაში შესულან, ის მარმარილოს საფლავის ქვა მეტად მოსწონებიათ და ცდილან აღებას. წავილებთ და ერთს დიდ კაცს მივართმევთო ფეშქაშად, მაგრამ ვერას ღონით ვერ აუღიათ: გაჯავრებულს ერთსა გარედგან დიდი ლოდი შემოუტანია, დაუცია იმ საფლავის ქვისთვის და ისე დაუმტვრევია, როგორც ვხედამთ ეხლა. ამისი მიზეზი იყვნენ ოსმალოები, ამისთვის, რომ ქართლი ოსმალოს ეჭირა და იქიდგან ცდილობდნენ დაღისტნის აღელვებას საქართველოზე. ამ საშინელების მხილველმა მე, ველარ მოვისვენე, რომელსაც ძილი რიგზედ აღარ მქონდა და აღარც მეამებოდა რამე.

ამ დროს მე თხუთმეტის წლისა ველარავინ დამიჭირა, რადგან ვხედავდი ტყვევნას, აოხრებას საქართველოსას. ამას შემდეგ სადაც ლეკის ჯარი გამოვიდოდა, დავხვდებოდი, რაც უნდა ცოტა კაცები მყოლოდა, არ დავერიდებოდი, მაშინვე შევებმოდი და ღმერთის განგებითაც ვაოტებდი იმათ ჯარს. ბევრჯერ დღეში ორ-სამ ომს გადვიხდიდი და ღმერთი ძლევას მაძლევდა. ერთხელ ერთ დღეს ოთხჯერ დავამარცხე ლეკები, მეორედ ხუთჯერ. დიდად შევაშინე და შევაძრწუნე ლეკები. ზედატანებით ნადირშამ ოსმალოები გარეკა ქართლიდგან და საქართველომ ქრისტიანობა დაიბრუნა, თორემ უთუოდ გაათათრებდნენ მთელ საქართველოს.

ამ საშინელების მხილველმა მეფე ირაკლიმ აღარ მოასვენა თავი აღარც დღე და აღარც ღამე. ვერა საშინელი ავდარი გზას ვერ შააუკრავდა, საშინელს მღელვარს წყალი რომ მიადგებოდა არაფრით არ ჩააგდებდა, ჰკრამდა მათრახს ცხენსა და მკვირცხლად გავიდოდა. ყინვა იმისათვის საგოგმანებელი იყო და სიცხე მოსასვენებელი; საბნად ლეკური ნაბადი ჰქონდა და დოშაქათ ცხენის ყაჯარი და ბალიშად მაგარი ქვა. ბევრჯერ სამი-ოთხი დღე გავიდოდა იმის პირი პურის ნაწილს არ ნახავდა. ბევრჯერ თვე გავიდოდა ტანისამოსს არ იხდიდა, არც ფეხიდგან და არც ტანიდგან. დღეს ნახამდნენ ალაზნის პირზე გაუჩნდებოდა უეცრად მტერს, ხვალ თუ ზეგ ოსმალოს სამძღვარზე და შემდეგ ვინ იცის სად და



სად, სიღნაღი, გორი, ტბილისი და თელავი ხომ ანგარიშში აღარ იყო. ასე და ამ სახით უვლიდა ქართველებსა, როგორითაც კარგი მღვიძარე არწივი თავის ბუდეში თავის ბღარტებს, სადღა ჰქონდა რიგიანი ძილი მეფეს ირაკლის, სადღა ნებივრობა, სადღა განცხრომა და სადღა სიხარული. ესენი სულ საშინელს შრომად გადაექცა.

ამ დროს შეხედეს მეფეს ირაკლისა, ერთ მშვენიერს მომაღლოსა, ლურჯსა ცხენსა მოაფრინდა ვითა შავარდენი ფრიალოსა და სადავე გაუსწორა რვა ლუსმით დაჭედილსა ცხენსა, რომელსაცა ამ ცხენს ერქო შაისევან, ანუ საყვარელი ხელმწიფისა. თათრული სიტყვაა. ეს ცხენი ქვემო ქვეყნიდგან მოურთმევიათ ორი წლის კვიცი და ისეთი ცუდი სანახავი ყოფილა, რომ მეფე ირაკლის რიგიანად არც კი შეუხედამს. ამ დროს ქიზიყის მოურავი იქ ხლებია, თამაზ (ანდრონიკაშვილიძ) და იმას მოუხსენებია, რადგან არ მოგწონთ, მე მიბოძეთო. მიუცია, მაგრამ შემდეგ სრულ ცხენად რომ უნახავს, გაჰკვირვებია მეფეს, ეს ამისთანა საკვირველი ცხენი სად გიშოვიაო, მოუხსენებია, ის თქვენი დაწუნებული კვიცი გახლავთ, რომელიც თქვენ მოგეწონათო, ამასთანავე გადმომხტარა და მეფისათვის მიურთმევია. ის ცხენი თურქმანის ქვეყნიდგან ყოფილა, მნახველთაგან გამიგონია „მშვენიერებით დახატულსა გვანდა ის ცხენიო, რომ მცირედ ნაკლოვანება იმაში არა იყო რაო“. ამ ცხენს უზანგი ჰკრა მეფემ და ისეთი სიარული, თუმცა თოხარიკი არ ყოფილა, მაგრამ ნაბიჯი, სიარული, დიახ, ჩქარი ჰქონდა და ზედ მჯდომსაც არ ანჯღრევდა მცირედა.

საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ამბავი, წვრილად რომ იცოდეს ვინმემ და თვითეულად მოთვალოს, მაშინ არის კარგი. თორემ აქ და იქ დაწყვეტილ-დაწყვეტილი იმის ანბავი რა იქნება, ვითარცა ქოხი სასახლესთან.

საქართველოს მეფე ირაკლიმ თითქმის სამოცდასამი წელიწადი ხმალი იქნია ოთხსავ კუთხივ საშინელი მტრების პირისპირ, მცირე ქართველებით, მცირის მშობლის მამულისათვის და ვერც ერთხელ მტერმა ვერ მისტაცა მამული.

ალექსანდრე ორბელიანს მოჰყავს საინტერესო ეპიზოდი დედამისის, თეკლა ბატონიშვილის ცხოვრებიდან:

„მეფე ირაკლი აქ, თელავში ბრძანებულა, ერთ დილაზე საქართველოს დიდი კაცნი, თავად-აზნაურნი შეყრილან ამ პატარას მინდორზე და ყველანი მეფის გამობრძანებას თურმე ელოდნენ, ნაცვლად მეფის ირაკლისა, იმისი შვილი, ყმაწვილი ქალი გამოსულა თოფით, ბიჭურად ჩაცმული, გალავნის კედელზე მჯდომ ჭივჭავისათვის უსროლია თოფი და თავი გაუგდებინებია ტყვიით. ამის მნახველთ ერთპირთ უთქვამთ ყველას – „ნეტავი ღმერთს ებრძანებინა, ეს ყმაწვილი ქალი, ბიჭად დაბადებულიყოო“. ამის ბიჭურად ჩაცმის მიზეზი რაც იყო, 1846 წელსა მარტის თვესა დაიბეჭდა „კავკაზის“ გაზეთში.

ამ დროს იმ თავადებში ერთი მოხუცებული ოხანაშვილი ყოფილა ლუარსაბ, იმათ პასუხათ ამას უთქვამს. – „ლეკვი ლომისა სწორეა, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“. თურმე ლექსი მეფე ირაკლის გაეგონა, მაშინვე ფანჯარა გაეღო, გამოეხედა და ებრძანებინა: „ის“ ლექსი ვინა სთქვა. მაშინვე მოეხსენებინათ. ირაკლისაც ამის პასუხად ეს ეთქვა „მზგავსი ყოველი მზგავზსა შობს, ესეც ბრძენთაგან თქმულია“.

ამ ანბავში ერთი ყმაწვილი კაცი მდგარა იმ თავადებში, რომელსაცა გულითა და სულით ჰყვარებია ის ყმაწვილი ქალი. ამ ამბავს დიდის სიამოვნებით მოვაგონებდი მე ამისთვის, რომ ბოლოს ჩემი დედმამანი იყვნენ ორნივ ისანი.

აი ამბავი მეფე ირაკლის ცხოვრების უკანასკნელ წელს: „ახლა მეფის ირაკლის უკანასკნელი ჟამი ვთქვათ, არა ვრცელად, მოკლედ და იმისი უბედურება.

ალა-მაჰმად-ხანის მესამე წელიწადზე მეფე ირაკლიმ განჯის ციხე რომ აიღო, იქ ავათ გახდა, იქიდგან ავანტყოფი წამოვიდა და დედოფლის სასახლეში დადგა ავლაბარს. ეს იყო ან სეკტემბრის გასული ან ოკტომბრის დამდეგი, 1798 წელსა. ტფილისში იმ დროს მოვიდა, რომ დიახ, საჭირო საქმე გაუჩნდა, მაგრამ ის ავანტყოფობა გულისწყალმანკი გაუხდა და ეს სენი განუძლიერდა, საიდგანაც დედოფალს მისწერა უკანასკნელი წიგნი თელავში. „ოჰ, ჩემო უსაყვარლესო დედოფალო დარეჯან! დილაზე რომ გამოვალ, ქალაქ ტფილისისაკენ გადვიხედავ. საშინელი მწუხარება ამიტანს, მაშინვე თავბრუ დამეხვევა, თვალთ დამიბნელდება, ბარბაცით შინ შევალ, ტახტზე დავეცემი და მწარეს ქვითინს ამოუშვებ უბედური მეფე. თუმცა სხვადასხვა ბევრს ნუგეშს ვუზნეზი ქალაქის მცხოვრებთ, მაგრამ ესეს არის, მე ველარ გამოვდგები. ახლა ამის მეტი ნუგეში აღარა დამრჩომია, ჩემო უსატრფიალესო დედოფალო, რომ ჩქარა მოვალ თელავს შენთან. ღმერთს მივართმევ სულსა და ვისგნითაც უბედური ყოფილა ჩვენი ქვეყანა, ანუ ჩვენი ოჯახი, იმასაც წერილად შეიტყობ“.

დასასრულს ავტორი საუბრობს მეფე ერეკლეს სიკვდილისა და დასაფლავების შესახებაც. აღწერს იმ ცილობას თუ სად უნდა ყოფილიყო მეფის ქვალთშესალაგი, ალავერდში თუ სვეტიცხოველში. „კახეთის მებატონეებმა მოინდომეს მეფის ირაკლის გვამი ალავერდის ეკლესიაში დაასვენონ. დაასაფლაონ, რადგან კახეთის მეფე იყო, ალავერდს უნდა მივიღოთო. ქართლელმა მებატონეებმა უპასუხეს. არა, მეფე ირაკლი, მთელი საქართველოს მეფე იყო, ამისთვის მცხეთის ეკლესიაში წავასვენოთო... ამაზე ბევრი ლაპარაკი ჰქონდათ და ბოლოს გადაწყვიტეს მცხეთაში წაასვენონ“.

**გივი გამრეკელი**

◉ კალათბურთი

# მოვიგეთ, მაგრამ...

**ერთ კვირაში საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. როგორ კონდიციებში ხვდება იგორ კოკოშკოვის გუნდი დამდეგ ბატალიებს? ამ კითხვაზე პასუხი გარკვეულწილად თბილისის სპორტის სასახლეში გამართულმა დედაქალაქის მერიის თასის პირველმა გათამაშებამ გაგვცა, რომლის გამარჯვებულნიც, მართალია, მასპინძლები გახდნენ, მაგრამ...**

უპირველესად, იმ დანაკლისის შესახებ, რომელმაც „ჯვაროსანთა“ თამაშს უარყოფითი კვალი დააჩნია და მომავალ პასუხსაგებ შეხვედრებამდე დარჩენილ, მცირე დროში, ალბათ, გამოუსწორებელი დარჩება. თუ გაქართველებული ამერიკელის ტაირონ ელისის არყოფნას შეგუებულნი ვიყავით (იგი მალე მამა ხდება და ოჯახის თხოვნით დაბრუნდა სამშობლოშიძ და მარკოიშვილის სახით მას ღირსეული შემცვლელი მოეძებნა, ვლადიმერ ბოისას ტრავმამ უდიდესი ვაკუუმი გააჩინა. წამყვან ევროპულ კლუბებში გამობრძმედილი ჩვენი თანამემამულე ძვირფას გამოცდილებასთან ერთად დაცვაში შეუდარებლად პროდუქტიული გარჯითაც გამოირჩევა, მის პოზიციაზე გამოცდილთაგან კი ჯერჯეროზით თავი ვერავინ გამოიჩინა.

პრობლემატურად გვესახება ჩვენებურთა ერთ-ერთი ლიდერის



ვაჟა დანელიას ფოტო

**თბილისის მერიის თასის გათამაშების ტექნიკური შედეგები**

**საქართველო — რუმინეთი 75:68.**
**უკრაინა — ბელარუსი 73:68.**
**საქართველო — ბელარუსი 69:65.**
**უკრაინა — რუმინეთი 80:63.**
**საქართველო — უკრაინა 87:84.**
**ბელარუსი — რუმინეთი 88:78.**
**საბოლოო მდგომარეობა: საქართველო — 3, უკრაინა — 2, ბელარუსი — 1, რუმინეთი — 0 მოგება.**

ვიქტორ სანიკიძის მზადყოფნა. შეგახსენებთ, რომ შარშან იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირ დაფრინავდა სარბიელზე და ბურთის მეტოქეთა კალათში ეფექტურად ჩატენვას წარმატებით უთავსებდა ზუსტ სამქულიან ტყორცნებს. სამწუხაროდ, წლევანდელი სეზონის სტარტზე იტალიის „ბოლონიას“ ლეგიონერი დამძიმებულად გამოიყურება და დიდი ოფლისღვრა მოუწევს სასტარტო ხუთეულში დასამკვიდრებლად.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილსა და გიორგი ცინცაძეს, მართალია, არასტაბილურად ასპარეზობდნენ, მაგრამ ვიმედოვნებთ, საჭირო მომენტში მოუმატებენ და პარტნიორებს გვარიან შვებას მოჰგვრიან.

ძალიან გვინდოდა, რომ გრინისა და ჰოსლის თამაშში პოზიტიური შეგვენიშნა, მაგრამ ოკეანისგაღმელმა დებიუტანტებმა ამის საფუძველი არ მოგვცეს. თუმცა, მოდით, მეტისმეტად მკაცრად ნუ განვსჯით — მათ ხომ ჯერ მხოლოდ სამჯერ მოირგეს საქართველოს ნაკრების მაისურა.

ეპიზოდურად წარმოაჩინეს საკუთარი პოტენციალი თორნიკე შენგელიამ და გიორგი შერმადინმა, ლაშა გამყრელიძემ კი, პირიქით, ყველაზე მეტად გააწბილა მწვრთნელები.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა კოტე ტუღუშის, ანატოლი ბოისასა და ლევან მეტრეველის შესახებ. ვეკითხებით გუნდის თავკაცებს: თუ არ ენდობით მათ და თავის გამოჩენის შანსს არ მისცემთ, რაღას იწვევთ შეკრებებზე? — საზაფხულო შვებულებით სარგებლობის უფლება მაინც მიეცით.

**გია პლატონიშვილი**

◉ ჭიდაობა

# უნგრული ნადავლით

**ორი „ოქრო“, ამდენივე „ბრინჯაო“ და ერთი „ვერცხლი“ — ასეთი მონაგრით ბრუნდება საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები ბუდაპეშტის მსოფლიოს პირველობიდან, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა.**

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, რომელმაც ზედიზედ სძლია უნგრელ ჯოზეფ მოლნარს, ირანელ ბეჰნამ ეშაგ



დავით ხუციშვილი

ეჰსანაპურს, უკრაინელ იგორ ხავალჯის, რუს რასულ მაშეზოვს, ფინალში კი აზერბაიჯანელ ტოიგრულ ასგაროვს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მსგავს წარმატებას მიაღწია ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა დავით ხუციშვილმა (74კ. პირველ წრეში მან კოსტარიკელი ჰერიბერტო სანდი კასტილიო დაამარცხა, შემდეგ ჩინელი ლეი ვანგი, ირანელი რიზა აფზალიპაემამი და რუსი არსენ შალაევი ჩამოიცილა გზიდან, გადამწყვეტ პაექრობაში კი თურქ სონერ დემირტაშს სძლია.

მიზნის მიღწევამდე მცირედი დააკლდა ევროპის წლევანდელი პირველობის მესამე პრიზიორ ლაშა ტალახაძეს (50კ, ქართველმა ფალავანმა ზედიზედ დაჯაბნა ამერიკელი ნიკ როზერტსი, მონღოლი ტუგს ბატიარგალი, მოლდოველი ევროპის ჩემპიონი ანატოლი ბურუიანი, მაგრამ ფინალში ვერაფერი გააწყო რუს ზიკრულა დადაევთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

უნგრეთის დედაქალაქში მხოლოდ თითო ორთაბრძოლა დათმეს და მესამე ადგილებზე გავიდნენ თენგიზ ჩოჩიშვილი (60კ და ევროპის ჩემპიონი გიორგი საკანდელიძე (120კ. ქართველთაგან დავით ტლაშაძე (66კ, დავით მარსაგიშვილი (84კ და თორნიკე ხიდეშელი (96კ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ნუგზარ სხირელის შეგირდებმა რუსებისა და აზერბაიჯანელების შემდეგ გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს.

**ლექსო ცინცაძე**

◉ სუმო

# კოკაის კოკა არ გატყდომია



**იაპონიაში დამთავრდა სუმოისტთა მე-4 სუპერტურნირი — ნაგოიას ბაშო, რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ ლევან ცაგურიამ (კოკაიძ შეძლო ასპარეზობის დადებითი ბალანსით (8-7კ დამთავრება.** 22 წლის ლევან გორგაძე (ტოჩინოშინიძ შეჯიბრებაში კომუსუბის ტიტულით ჩაება, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო: მხოლოდ 6 შეხვედრა მოიგო 9 წაგების წილ. 23 წლის თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუძ ელიტის დებიუტანტი გახლდათ. მან თავი ვერაფრით გამოიჩინა — 5 ორთაბრძოლა მოიგო, ათჯერ კი ძლეულმა დატოვა დოჰიო.

მონღოლმა ჰაკუჰომ ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და, ცხადია, პირველობაც მას ერგო. 11-11 გამარჯვებით მეორე-მეოთხე ადგილები არანმა, კაკურიუმ და ჰომაშომ გაინაწილეს.

◉ ჩოგბურთი

# მეოთხე აღზევება



**ხარკოვში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარიძ, რომელშიც თბილისელი თათია მიქაძეც მონაწილეობდა.** ჩვენებური, რომელსაც ამჟამად ირაკლი ლაბაძე ავარჯიშებს, მე-8 ნომრად იყო განთესილი. ფინალში იგი ნატალია რიჟენკოვას დაუპირისპირდა. პირველი სეტი ჩრდილოელმა მეზობელმა 7:6 მოიგო, არადა, როცა ანგარიში იყო 5:2 რუსის სასარგებლოდ, მიქაძემ ხელი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა საბოლოოდ მაინც დათმო. სამაგიეროდ, მეორე სეტში იოლად (6:2კ იმარჯვა, მესამეშიც წარმატებას (6:4კ მიაღწია და პირველი ადგილი დაიკავა, რითაც 50 სარეიტინგო ქულა შეიმატა. საგულისხმოა, რომ მიქაძე სპორტული კარიერის განმავლობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეოთხედ (ორჯერ წყვილებში, ამდენჯერვე — ერთეულებშიძ ავიდა.

**განცხადება**

**2010 წლის 15 სექტემბერს, 13 საათზე, ქ. ზესტაფონში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, გაიმართება შპს „რ და გ კომპანი“-ს კუთვნილი ასფალტის საწარმოს (ზესტაფონი, სოფ. არგვეთაძ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

— საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

— შპს „რ და გ კომპანი“, თბილისი, დიღმის მასივი, III კვ. კორპ. 8, ბ. 36.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:

შპს „რ და გ კომპანი“, თბილისი, დიღმის მასივი, III კვ. კორპ. 8, ბ. 36.

◉ ინტერნეტიდან

## ჩაკვეტაძე ისევ გამოჩნდა



**კარგა ხანია, სასიხარულო არაფერი გვსმენია რუს-ქართველა ჩოგბურთელის ანა ჩაკვეტაძის შესახებ. ის ხომ ერთხანს მსოფლიო საჩოგბურთო ელიტაშიც კი იყო. მაგრამ ბოლო დროს უგერგილო ასპარეზობის გამო რეიტინგში103-ე ადგილზე გადაინაცვლა. და აი, სლოვენიის ქალაქ პორტოროჟში მიმდინარე 220-ათასდოლარიან ტურნირში ერთხელ კიდევ გაიელვა ანას ოსტატურმა თამაშმა.**

მას საათი და 48 წუთი დასჭირდა ნახევარფინალში 55-ე ჩოგანოსნის, 19 წლის მასპინძლის პოლინა ჰერცოგის დასამარცხებლად 0:6, 6:2, 6:2.

ფინალში კი მისი მეტოქე იყო 21 წლის შვედი იუჰანა ლარსონი. ჩაკვეტაძემ ბრწყინვალედ იასპარეზა და გაიმარჯვა 6:1, 6:2. დაბრუნებისთვის კარგი შედეგია.

## გაიმარჯვა პონომარიოვმა

**დორტმუნდში დამთავრდა 21-ე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი. შეიძლება ითქვას, რომ მერვე და მეცხრე ტურები ერთმანეთს ძალზე წააგავდა შედეგებით — ერთი გამარჯვება, ორი ყაიმი. მერვე ტურში მასპინძელ ნაიდიჩთან გამარჯვებით უკრაინელმა პონომარიოვმა განიმტკიცა წამყვანი პოზიცია. აი, შემდეგ ტურში კი ტურნირის ფავორიტად უსაფუძვლოდ მიჩნეულმა ვლადიმირ კრამნიკმა გერმანელთანვე დამარცხებით, ბოლოსკენ გადაინაცვლა.**



დასკვნით მე-10 ტურში კრამნიკმა აზერბაიჯანელი მამედიაროვი დაამარცხა, უნგრელმა ლეკომ — გერმანელი კოლეგა, პონომარიოვი კი ვიეტნამელ კუანგ ლეიმ ლესთან ყაიმით დაკმაყოფილდა.

საბოლოოდ ტურნირის შედეგების მიხედვით დიდოსტატები ასე განლაგდნენ: პონომარიოვი — 6,5 ქულა 10-დან, კუანგ ლეიმ ლე — 5,5, კრამნიკი და მამედიაროვი — 5-5, ნაიდიჩი და ლეკო — 4-4.

## ჯორდანი — კინოვარსკვლავი?

**პოპულარული ბრიტანელი ლამაზმანი მოდელი კეტი პრაისა, ანუ უბრალოდ ჯორდანი, შერეული სტილით მოჭიდავის ალექსი რიდის ცოლი, განაგრძობს თაყვანისმცემლების გაოცებას. როგორც ამბობენ, ლამაზმანს ენერგია იმდენივე აქვს, როგორც კურდღელს „ენერჯაიზერის“ რეკლამაშიო. ის სულ ახალ-ახალ ამბებს იგონებს.**

ამას წინათ ჯორდანმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა, გახდეს პოპულარული მომღერალი და ისეთივე წარმატება მოიპოვოს სამოდელო ბიზნესშიც, თუმცა, მისი პირველი მუსიკალური ცდა ჩაიფუშა — გაიყიდა მხოლოდ 3 ათასი ფირფიტა, რამაც ვერ დააკმაყოფილა პატივმოყვარე ქალბატონი.

სიმღერაში წარუმატებლობის შემდეგ მან გადაწყვიტა, კინოზე გადართულიყო. დარწმუნებული იყო, რომ თავისი გარეგნობით ეკრანზე აუცილებლად გაიმარჯვებდა და იმედოვნებდა როლის მიღებას კომედიურ ტელესერიალში ბრიტანეთის ტელევიზიაში. ამაში კი ჯორდანს მცირე გამოცდილება ნამდვილად ჰქონდა. ის ხომ კლიპებში გადაიღეს ცნობილ ინგლისელ მომღერალ ლეინა ბოურთან ერთად.



### ალექსანდრეს ბაღის სურათები

## ჯარიმა „უზრდელი“ ძაღლების პატრონებს!

**თავიდან მშვიდად ვსაუბრობდით „პარლამენტარები“ ალექსანდრეს ბაღში. წამოხტა უცებ ზაზა: — ნახეთ ერთი, ნახეთ, როგორ გადაჯეგა ყვავილები „ავჩარკამ“... აი, იმ კაცისაა, შორიდან რომ უყურებს თავისი ძაღლის ბუღრაობას სკვერში!... სირცხვილი არ არის, ბოლოსდაბოლოს?! რაც შეუძლიათ, თან ჰყვება მერია ამ ბაღს, გაალამაზეს, გააკოხტავეს აქაურობა, უამრავი ყვავილი ჩარგეს ირგვლივ, მაგრამ ამ ძაღლების გადამკიდე, ფუჭდება ყველაფერი... მჩორით ყარს აქაურობა!**

— წელან, რომ მოვდიოდი, სწორედ, ძაღლის მჩორეში კინაღამ ჩავკარი ფეხი.. კაცო, სადმე კუთხეში მაინც მოასაქმებინონ თავიანთი ძაღლებს! — უერთდება ბონდო ზაზას გულისწყრომას, — მგონი „კიკვიძის ბაღში“ ჯარიმას ახდევინებენ პატრონებს, თუ ნახეს, რომ ძაღლი გარემოს აბინძურებს.

— ჰოდა, გამოაკრან აქაც აბრები დაჯარიმების შესახებ, თუმცა ვინ დაუდარაჯდება, ბიჭო, მაგათ, არადა უკვე შეუძლებელი გახდა აქ ჩამოჯდომა, ყარს ყველაფერი!.. — როგორც ყოველთვის, მკაცრია ბატონი მიშა, რომელიც მერე მე მეუბნება: — ა, კაცო, თემა, დაწერე ერთი, თქვენს გაზეთში, იქნებ მერიამ რაიმე მოიფიქროს!..

— დავწერ, მარა, ეშველება, ამით?!

ა, ბატონო, დავწერე, თანაც მერამდენედ.

## ვაჟამ გაგვახალისა

**ბაღის ერთ-ერთი მომვლელი ვაჟა ნარიმანიძეც კვერს უკრავს ჩვენს საყვედურებს, ველარ ავუდივართ ამ ძაღლების დაბინძურებული ადგილების დასუფთავებასო... ვაჟა რამდენიმე თვეა, რაც ალექსანდრეს ბაღში გამოჩნდა.** წარმოშობით დუშეთიდანაა, ისე ორბეთში დაბადებულა და გაზრდილა, სამხედრო სამსახურის შემდეგ ორბეთის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად უმუშავია, მერე არასაუწყებო დაცვაში ყოფილა, ახლა კი, დამლაგებლად არის ბაღში და ერთობ მუყაითი კაცია, კეთილღიმილიანი, სალმიანი, ამ ორი წლის წინათ ლექსების წერა დაუწყია (ღმერთმა მიკარნახაო, ამბობსძ, ჩვენც დაგვინახავს, ვაჟა ცოცხს რომ ატრიალებს აქეთ-იქით, ხანდახან ჩამოჯდება და ქაღალდზე გადააქვს ნაფიქრალი... ერთ-ორჯერ წაგვიკითხა კიდეც.



— ახალი ხომ არაფერი დაგიწერია? — ვეკითხებით ვაჟას, რახან ჩვენთან შეყოვნდა.

— მაქვს, როგორ არა... — და თაბახის ფურცელს ილებს გულის ჯიბიდან. ლექსი საკმაოდ გრძელია, მაგრამ, ნახეთ, ეს ერთი სტროფი რა კაი რამეა:

**„სანამდე პირში სული მაქვს,**
**ვიდრე წამიყანს უფალი,**
**იქნებ ვიხილო სამშობლო**
**ერთიან-თავისუფალი“.**

ჩაამთავრა ვაჟამ კითხვა და ჩვენც ცოტა ხასიათზე მოგვიყვანა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

### ეპიტაფია

## „ველარც სიმღერით გითხარ ამდენი სიყვარული“...

**საქართველოს მთას ტკივილიანი ზაფხული უდგას — ჩვენს ლამაზ, ამაყ და ლეგენდების საუფლოს — ხევსურეთს გლოვის ჟამი უდგას. გოდებს მუცო და ბარისახო — საზარელმა ტრაგედიამ დაიაურებისა და არაბულების ოჯახები შეიწირა. პოეტ გელა დაიაურის მეუღლე — თეონა ქუმსიაშვილი და მცირეწლოვანი შვილები — დემეტრე და ჯარჯი ახლა უკვე ზეციურ საქართველოში არიან.**

**გადარჩა მხოლოდ გელა დაიაური — მთის ნამდვილი შვილი, მისი ყოველი ქვისა და კლდის, ყვავილისა თუ ნისლის მესაიდუმლე. გაუტეხელ მუცოელთა შთამომავალს შატილის, არდოტის, მუცოსა და ხახაბოს ცა და მზე საფიცრად გადაქცეოდა... უიმათოდ სიცოცხლე არ სურდა...**

**„სულს იპოვიდით ქვასა და**
**ხეში...**
**გულშმაგ არღუნში ფოთლის**
**ნავობას“...**

**წერდა „ლეგაჩოხიან ხევსურ ვაჟებზე, ღამისფერთვალა ხევსურის ქალებზე“, დევის ნაგებ კოშკებზე, ქარისა და მიწის ურვა-ჩივილზე, ბალახის ცრემლზე... ენძელა ჩემი სულის ნატეხიაო, აქ დალამებაც გათენებააო... თვით ლოდი მუცოს მშვენებას აქებსო... მხოლოდ პოეტს ესმოდა ამ ლოდებისა და ლიბომორღვეულ ციხეთა მოთქმა.**

**„მუცოს ბეჭები გაბზარვია,**
**ჟამისგან ძლეულა მუცო“...**

**მუცოსთან ერთად ეგებებოდა მზის ამოსვლას, მღეროდა, უყვარდა, მთის შვილი იყო და ეს სიყვარულიც — მთის თოვლივით სუფთა და ზეციური დაბადებიდან თან დაჰყოლოდა...**

**„მთებს მზე აკლია, მე კი**
**შენი თითების სითბო“...**

**თეონას მოსვლაც მის ცხოვრებაში გაზაფხულის შემონათებას ჰგავდა. მთებში შემოსული გაზაფხულივით ამოუცისკარდა სული. მთებში დაიბადა დიდი სიყვარულიც. ეს სიყვარულის სიმღერა იყო, და მხოლოდ ბედისწერამ უწყოდა, რომ ძალიან მალე იგი დაბინდულ მუცოს ხეობაში სულის ტირილად გადაიქცეოდა...**

**„სულ შენი იყოს მინდა**
**ეს ნაწამები სული,**
**მარტო სიმღერით გითხარ**
**ამდენი სიყვარული“...**

**მღეროდა თეონა ქუმსიაშვილი... სახეტიალოდ გზები მექახის, მესაიდუმლედ მთა ავირჩიეო...**



**გელა დაიაურის სულშიც გაცოცხლდება გაზაფხული!**

**„ეს სუნთქვა შენი იყოს,**
**ოღონდ ქართველი მერქვას“...**

**და მისი უკანასკნელი სუნთქვაც არღუნმა წაიღო, იმ მთებმა და ხეობამ, რომელთაც ასე ეფერებოდა სიმღერებში... დედა იყო და როდესაც „გულშმაგმა არღუნმა“ შვილები გამოსტაცა, და მათ ვერ უშველა, მის ტალღებს გააყოლა თავისი სიცოცხლეც...**

**და დარჩა მისი სიმღერები, ხმა საოცარი. საქართველოს კი ივლისის გლოვამ გადაუარა... ხევსურეთი გელასა და თეონას მსგავს ოჯახებზე იდგა, დემეტრე და ჯარჯიც ვაჟკაცები და გაუტეხლები უნდა გაზრდილიყვნენ და მამასავით ხევსურეთის მორღვეული ლიბო გაემაგრებინათ.**

**სულ 27 ოჯახი ცხოვრობს ხევსურეთში. შატილში — 15-ოდე, სოფლებში — თითო-ოროლა. სკოლები კარგა ხანია დაუხურავთ, აქაოდა სამ-სამი ბავშვი დადიოდაო. მაგრამ მთაში სამი ბავშვი რომ ცხრაჯერ მეტს უდრის, ამაზე არავინ დაფიქრებულა...**

**ზამთარში თვეობით ჩაკეტილი, ჩვენგან მიტოვებული, უფლის ამარა რჩება ხევსურეთი.**

**იქნებ ამ ტრაგედიამ მაინც გამოაფხიზლოს საქართველო — ხელისუფლებაც, ერიც და ბერიც. იქ, პირიქითა ხევსურეთში დარჩენილებისთვის რაიმე სახსარი გამოინახოს, თავი რომ არ იგრძნონ განაპირებულად, მიტოვებულად!..**

**გელა დაიაური გადარჩა. ვაი, ასეთ სიცოცხლეს! მაგრამ ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ინტერნეტში ამოვიკითხე: „გელა და გელასნაირები მართლა სჭირდება ხეობას. გაუჭირდება, მაგრამ სწორედ ამიტომ გადარჩა გელა“.**

**და ცხოვრებაც გრძელდება. თეონასა და მისი შვილების ლამაზი სულები მუცოს ცაში არიან. „ინათებს, ჩემო“, — თეონას ხმა ხევსურეთს ეფინება და მჯერა, მაინც ამოვა მზე მუცოში.**

**გელა დაიაურის სულშიც გაცოცხლდება გაზაფხული!**

**თამარ შაიშმელაშვილი**

### უსამართლო სამართალი

## კანონებს თავისი ნება-სურვილით იღებენ

**აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი და დროებით ზესტაფონში მცხოვრები არასრულწლოვანი დავით მორგოშია ქურდობაზე დააკავეს. მაგრამ იმის გამო, რომ მოზარდი იყო, 3-ათასიანი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. მოზარდი არაგადახდისუნარიანი აღმოჩნდა. მისი მშობლები სულ ცოტა ხნის წინათ არალეგალურად წავიდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ, ბავშვი კი სამეთვალყუროდ მეზობელ თინა გოდაბრელიძეს დაუტოვეს, რაზეც ოფიციალური საბუთიც გაფორმდა.**

აღმასრულებლები პირველად მორგოშიას სახლს მიადგნენ. წასაღები ბევრი რომ ვერაფერი იპოვეს, ადგილი იცვალეს და ბიჭის მზრუნველს ესტუმრნენ. წასაღებად გაამზადეს ძველი ლოგინები, ლეიბები, ტაშტები და ა. შ. ვიდრე ფორმიანები შერჩეულ ნივთებს ეზოში ყრიდნენ, ქ-ნ თინასათვის ორჯერ გახდა სასწრაფოს გამოძახება საჭირო. საბოლოოდ გოდაბრელიძე საავადმყოფოში აღმოჩნდა, მისი წლების განმავლობაში წვალებით შეგროვილი ნივთები კი სააღმსრულებლოს „რაფში“.

ამ შემთხვევაში, ფორმიანებს ვერაფერში დასდებ ბრალს. კანონი მათ ამგვარ ქმედებას ავალდებულებს. მოქმედი კანონმდებლობით, „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი ან გადახდის უუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს ავალდებულებს“. მაგრამ იურისტები, სპეციალისტები, ყოფილი სახალხო დამცველი (ახალს ჯერ ამ საკითხების შესწავლისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანისათვის ჯერ არ მოუცლიაძ ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს მუხლი საქართველოს კონსტიტუციისა და ევროკავშირის კონვენციის მეშვიდე მუხლთან შეუსაბამოა.

გლდანის პოლიციას კარგა ხანი არ მოსდიოდა თვალში გიორგი თევდორაშვილი, მაგრამ მისთვის რაიმე საბაბის მოძებნა ვერასგზით ვერ მოახერხეს. მაშინ მიზეზი მის შვილს უპოვეს და 5-ათასლარიანი ჯარიმა გამოუწერეს. პოლიცია და აღმასრულებელი მეორე დღესვე მიადგნენ უფროსი თევდორაშვილის ბინას. მაგრამ გაირკვა,რომ არასრულწლოვანის მშობლები კარგა ხნის გაშორებულები იყვნენ. სახლი, რომელსაც სამართალდამცავები გიორგი თევდორაშვილის ბინად თვლიდნენ, ნაქირავები აღმოჩნდა, რომელშიც მდგმურის ერთი თეთრის ქონებაც არ იყო.

უცხოელი ექსპერტების აზრით, ნაუცბათევად შედგენილი კანონები, რომლებსაც საბოლოო შედეგებამდე ვერ მივყევართ, გადასახედი ან საერთოდ გასაუქმებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ყოველთვის გაუგებრობის პირველწყარო იქნება. არ შეიძლება პირს პასუხისმგებლობა დააკისრო იმ ქმედებისთვის, რომელიც კანონმდებლობით, განსაზღვრული არ არის, როგორც სამართალდარღვევა. აუცილებელია დანაშაულში პირის ბრალეულობა და მოქმედება გამოიხატებოდეს.

ხაშურის რაიონში მეზობლის ეზოდან ველოსიპედის დაუკითხავად წაყვანისთვის მოზარდი გურამ კარბელაშვილი დააკავეს. არაფერმა არ გასჭრა შეუვალ პოლიციასთან. თვით დაზარალებულის თხოვნამაც. არასრულწლოვანს 3 ათასი ლარის ჯარიმა ან 2 წელი პატიმრობა მიუსაჯეს.

კარბელაშვილებს მიწის ნაკვეთისა და პირუტყვის ნაწილის გაყიდვა დასჭირდათ, რომ შვილი ციხეში არ გაეშვათ.

ჯარიმა სასჯელის სახეა, ამგვარი სასჯელი ინიშნება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართაც. სისხლის სამართალში აღნიშნული ეს პრინციპი ცნობილია, როგორც ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

როდესაც რუსთაველი გურამ გოცირიძე დააკავეს, არ ყოფილა ლაპარაკი არავითარ ჯარიმაზე, გარიგებაზე და ა. შ. დაკავებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უნდა მიეცათ. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც გაირკვა, რომ ეჭვმიტანილის მამას სერიოზული ბიზნესი ჰქონდა ლიტვაში. გოცირიძის საქმიდან უცბად გაქრა მძიმე ბრალდებები. დანაშაული გადაკვალიფიცირდა, საქმიდან საერთოდ ამოვარდა სასჯელი. ის ჯარიმამ შეცვალა — ორივე მხარე კმაყოფილია — ტუსაღობისათვის განწირული სახლშია, ბიუჯეტს 50 ათასი ლარი შეემატა. სამაგიეროდ უკმაყოფილოა დაზარალებული, თუმცა მისი გუნება-განწყობა მოსამართლესა და პროკურორს ნაკლებად ანაღვლებთ.

საერთოდ ჯარიმა 2 ათასი ლარიდან იწყება, მოსამართლეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია თანხის ოდენობის შეცვლა. შეიძლება განსასჯელი საერთოდ განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან და დაეკისროს ფულადი ჯარიმა. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ მოსამართლემ არა მხოლოდ ხელისუფლების მაღალი ეშელონების შეხედულება უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების გამოტანის დროს, არამედ გამოცარიელებული ბიუჯეტის შევსებაც უნდა იყოს.

**ზაზა ბილიხოძე**

მანანა და ნოდარ ჯალალონიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველ ქალთა ღირსეული წარმომადგენელი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ქართულ ენასა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი

ლია ანდღულაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერება“ საშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწმლმოსილი, კეთილშობილი პიროვნება, კარგი სპეციალისტი

გივი ჭოხონელიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## ყველაფერი ყველაფერზე

### „პური და სანახაობა“



**ტრაიანეს (53-117ძ გარდაცვალების შემდეგ ყოველ ახალ იმპერატორს რომაელები უსურვებდნენ ყოფილიყო „ავგუსტუსზე ბედნიერი და ტრაიანეზე უკეთესი“.**

ტრაიანე მართლაც ძალიან მარჯვედ მართავდა თვალუწვდენელ იმპერიას და ოპტიმუსის (ყველაზე უკეთესისძ წოდებაც მიიღო. ფართო დაპყრობით პოლიტიკასთან ერთად ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის ეკონომიკის მოსამძლავრებლად, რათა საშუალო და წვრილი მიწათმფლობელების გაღატაკება შეეჩერებინა, იმპერატორმა შემოიღო ე.წ. „ალიმენტაციის“ სისტემა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითოეული სენატორი იძულებული იყო თავისი შემოსავლის ერთი მესამედი ჩაედო იტალიის სოფლის მეურნეობაში. „ალიმენტარული ფონდის“ ფული ხმარდებოდა ობლებისა და ღარიბი მშობლების შვილების აღზრდას. პლებსის მიმართ ტარდებოდა „პურისა და სანახაობის“ ცნობილი პოლიტიკა. შენდებოდა ქალაქები, გზები, ნავსადგურები. რომში აშენდა ფორუმი ბაზილიკით, თერმები, მოწესრიგდა წყალგაყვანილობა, აშენდა ტრაიანეს განთქმული კოლონა — გრანდიოზული 38-მეტრიანი ნაგებობა, რომელსაც ბრინჯაოს არწივი ამშვენებდა. ცოტა მოგვიანებით აქვე დადგეს ტრაიანეს ქანდაკება.

### იდეა: ემსახურა საფრანგეთისთვის, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი

**შარლ მორის ტალეირან-პერიგორმა (1754-1838ძ, წარმოშობით არისტოკრატმა, ჯერ სასულიერო სფეროში მოიპოვა წარმატება. დაამთავრა კოლეჯი, შემდეგ სასულიერო სემინარია, იყო აბატი, რეიმსის გენერალური ვიკარი, ოტენის ეპისკოპოსი.**

შემდეგ გახდა სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, ბენევენტის თავადი, დინოს ჰერცოგი, უცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრი როგორც დირექტრიის, კონსულატის, ნაპოლეონისა და ლუი XVIII-ის დროს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ხელმძღვანელობდა საფრანგეთის დელეგაციას ვენის კონგრესზე (1814-15ძ, რითიც დამთავრდა ნაპოლეონის ომები. მშვენივრად გამოიყენა წინააღმდეგობები, რომლებიც გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის წარმოიშვა და მოახერხა (დამარცხებულიძ საფრანგეთის პოზიციების რამდენადმე გაძლიერება. სხვადასხვა ხელშეკრულების დადების დროს უზარმაზარ ქრთამებს იღებდა, გაზარდა ისედაც დიდი თავისი პირადი ქონება.

1791 წელს რომის პაპის მიერ ეკლესიიდან განკვეთილი, სიკვდილის წინ, 84 წლის ტალეირანმა იმავე რომის პაპისგან ცოდვების განტევება მიიღო. თუმცა მისი „გარდაქმნა“ არავის სჯეროდა. „თავადი ტალეირანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ღმერთს ატყუებდა — ამბობდნენ მის შესახებ — სიკვდილის წინ კი სატანა ძალიან მარჯვედ მოატყუა“.

თავის პოლიტიკურ ანდერძში ტალეირანი წერდა: „მე სულაც არ ვამტყუნებ საკუთარ თავს, რომ ყველა რეჟიმს ვემსახურებოდი... იმიტომ რომ ჩემი იდეა იყო მემსახურა საფრანგეთისთვის, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი“.

### 14 სხვადასხვანაირი ფიცი დადო

**ტალეირანის საკუთარი აღიარებით, სიცოცხლის განმავლობაში მან 14 სხვადასხვანაირი ფიცი დადო. მას სისტემატიურად ამტყუნებდნენ, რომ „ყველა ბატონის მსახური“ იყო, ძველ ბატონებს მალე ივიწყებდა და ახლებს პოულობდა.**



მოვუსმინოთ მის თანამედროვეს, გერმანელ პუბლიცისტ ლ.მერნეს: — „ტალეირანს ამტყუნებდნენ, რომ იგი თანამიმდევრულად ღალატობდა ყველა პარტიას, ყველა მთავრობას. მართალია, ლუი XVI-დან რესპუბლიკისკენ გადავიდა, რესპუბლიკიდან დირექტორიისკენ, შემდეგ კონსულატს მიემხრო, კონსულატიდან ნაპოლეონს, მისგან ბურბონებს, შემდეგ ორლეანელებს. მას ისინი არ გაუცია, უბრალოდ მიატოვებდა ხოლმე, როცა კვდებოდნენ, როცა ავად ხდებოდნენ, პულსს უსინჯავდა და ყველაზე ადრე ხვდებოდა, რომ გულმა მუშაობა შეწყვიტა. მაშინ მომაკვდავიდან მემკვიდრისკენ მიეშურებოდა, მაშინ, როცა სხვები მცირე ხნით მაინც სულთმობრძავს ემსახურებოდნენ. განა ეს არის ღალატი?“

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

### 27 ივლისი

**ხსენება მოციქულისა აკვილასი, 70-თაგანისა (Iძ; მოწამისა იუსტი რომაელისა, მხედრისა (Iძ; ღირსისა ელიოზ მონაზონისა (IVძ; ღირსისა ონისიმე სასწაულმოქმედისა (IVძ; იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა, თეოდორე სტუდიელის ძმისა (830ძ; ღირსისა ნიკოდემოს მთაწმინდელისა (1809ძ.**



ამოდის 04.50
ჩადის 19.24



ამოდის 19.55
ჩადის 06.02

### დაიბადნენ:

**1798 — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე,** შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი, საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარი. გარდაიცვალა 1850 წელს.

**1824 — ალექსანდრე დიუმა-უმცროსი,** ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წელს.

**1835 — ჟოზე კარდუჩი,** იტალიელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1907 წელს.

**1924 — ოთარ თაქთაქიშვილი,** კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1937 — ნიკოლოზ (კოკაძ იგნატოვი,** ქართველი მხატვარი. გარდაიცვალა 2002 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1841 — მიხეილ ლერმონტოვი,** რუსი პოეტი.
**1844 — ჯონ დალტონი,** ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი.
**1915 — ვაჟა-ფშაველა.**
**1962 — რიჩარდ ალდინგტონი,** ინგლისელი მწერალი.

### მოვლენები:

**1147 წელი** — დაარსდა მოსკოვი.

**1919 წელი** — რადიოკომპასი პირველად გამოიყენეს საავიაციო ნავიგაციაში.

**1921 წელი** — ბრიუსელში საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი შეიქმნა.

**1948 წელი** — გამოცადეს მსოფლიოში პირველი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავის „კომეტის“ საცდელი გაფრენა (ბრიტანული ავიამშენებელი ფირმა „დე ჰავილენდი“).

**1953 წელი** — ვატიკანმა რელიგიური დღესასწაულების დროს ფაბრიკებში მუშაობა აკრძალა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა** — გამარჯვების დღე.

**ვიეტნამი** — მსხვერპლთა ხსოვნის დღე.

**მელიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8449 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3884 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8470 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0720 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0515 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2958 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3362 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2149 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7213 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 — +34 |
| ქუთაისი. | +26 — +34 |
| ბათუმი. | +22 — +33 |
| ზუგდიდი. | +24 — +36 |
| თელავი. | +20 — +31 |

## კადრი



## ანეკდოტები

— მიხო, ძვირი გიჯდება შენი მაროსთვის ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლება?

— სრულიადაც არა! უფრო პირიქითაა — ამის წყალობით მეზობლის ბინა ნახევარ ფასად ვიყიდე.

* * *

ყავა სამსახურში — ეს ის სასმელია, რომელსაც შიმშილის დასავიწყებლად სვამენ.

* * *

მაგარი ძილი სიბერისგან თავის დაღწევის საშუალებაა. განსაკუთრებით მაშინ, თუ საჭეს უზიხარ...



* * *

ქმრის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ სარა მედიუმთან მივიდა მეუღლის სულის გამოსაძახებლად.

გამოიძახეს. მოვიდა სული.

— საყვარელო, როგორ მიხარია შენი გამოჩენა! — ეუბნება ცოლი.

— გამარჯობა, გამარჯობა, როგორა ხარ?

— მე რა მიჭირს, შენზე მომიყევი.

— აქ ისეთი სიწყნარეა, სიმართლე თუ გინდა, აქ მანდაურზე ათჯერ უკეთ ვგრძნობ თავს.

— ოჰ, მეც როგორ მინდა, შენთან ერთად ვიყო მანდ, სამოთხეში...

— სამოთხეში არა ისა, ჯოჯოხეთში ვარ!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.